აჭარა

გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№82 (25.106) სამშაბათი, 1 - 2 აგვისტო, 2023 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 8-13 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 25-30 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 27 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 755 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონში ცვლილებები შევიდა

ხატია იაშვილი 555 18 48 88

„მადლობა ისტორიული ბიუჯეტისთვის, მილიარდიანი ბიუჯეტი უკვე აღარ არის შორეული პერსპექტივა. რეგიონში სტაბილური ეკონომიკური და ბიზნესგარემოს არსებობა ამის საფუძველს ქმნის“, - განაცხადა საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე მარინე გვიანიძემ უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიაზე ბიუჯეტის კანონში შესატანი ცვლილების განხილვისას

პლენარულ სხდომაზე, რომელსაც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე უძღვებოდა, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტკარაძემ წარმოადგინა.

ჯაბა ფუტკარაძის განცხადებით, კანონპროექტის თანახმად, ბიუჯეტი 65 მილიონ ლარზე მეტით იზრდება და 600 მილიონს აჭარბებს. ამასთან, ცვლილებები რეგიონში არსებულმა სტაბილურმა ეკონომიკურმა და ბიზნესგარემომ, შემოსავლების ზრდამ, ტურიზმისა და სხვა საბიუჯეტო პარამეტრების დადებითმა დინამიკამ განაპირობა.

მინისტრის განმარტებით, მნიშვნელოვანია, რომ ჯანდაცვის, სოციალურ-ეკონომიკური პროგრამებისა და სხვა მნიშვნელოვანი პროექტების დაფინანსების პარალელურად, იზრდება ყველა მხარჯავი ორგანიზაციის, სტუდენტების დაფინანსება, სპორტის დეპარტამენტის ბიუჯეტი, დაიწყება ახალი საგანმანათლებლო და სპორტული ობიექტების სამშენებლო სამუშაოები და სხვა. 32 მილიონით იზრდება მუნიციპალიტეტებისთვის გადასაცემი ტრანსფერების მოცულობა, საგრძნობლად მზარდია ინფრასტრუქტურული და სხვა პროექტების დაფინანსებაც. ჯაბა ფუტკარაძის განცხადებით, საბიუჯეტო ცვლილებების პროექტი მაქსიმალურადაა მორგებული მოსახლეობის ინტერესებსა და დღეს არსებული გამოწვევების დაძლევაზე.

„ბიუჯეტი იზრდება 65 მილიონი ლარით და პირველად გადააჭარბა 600 მილიონს. ბიუჯეტი ეზრდება თითქმის ყველა მხარჯავ დაწესებულებას. მინდა გამოვყო აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროები. ჯანდაცვის სამინისტროს ეზრდება ბენეფიციართა რაოდენობა. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო სიმსივნით დაავადებული ადამიანებისთვის მედიკამენტების დაფინანსება. განათლების მიმართულებით დააახლოებით 7 მილიონნახევრით იზრდება სკოლების რეაბილიტაცია-მშენებლობისთვის გამოყოფილი თანხა. აგრეთვე, მნიშვნელოვანია, რომ იზრდება სტუდენტების, განსაკუთრებით, საზღვარგარეთ წასული სტუდენტების სწავლა-განათლების დაფინანსება. მნიშვნელოვანია საგზაო დეპარტამენტის და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ზრდა. ჩვენ გათვალისწინებული გვაქვს თანხა, რომელიც მოხმარდება სტიქიის შედეგად დაზარალებული ლოკაციების რეაბილიტაციას. იყო რიგი რეკომენდაციები, რომლებიც გავითვალისწინეთ და შეტანილია ბიუჯეტში. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია საგზაო ტექნიკის შეძენა, რაც უზრუნველყოფს როგორც სტიქიის, ასევე დაზიანებული ობიექტების რეაბილიტაციას, ასევე შევიძენთ თოვლის საწმენდ ტექნიკას და, რა თქმა უნდა, მომდევნო პერიოდშიც გაგრძელდება ამ ტიპის ტექნიკის შესყიდვა“, - გვითხრა აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტკარაძემ.

კითხვა-პასუხის დასრულების შემდეგ, ბიუჯეტის კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი, 12 ხმით, დამტკიცდა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აჭარის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებები 600 589 400 ლარით განისაზღვრა, ანუ პირველად რეგიონის ისტორიაში, ბიუჯეტმა 600 მილიონ ლარს გადააჭარბა.

გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებელი 65 040 000 ლარით იზრდება, ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი - 47 640 000 ლარით და 560 189 400 ლარს შეადგენს.

აჭარის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი აჭარის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტს აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტკარაძემ წარუდგინა.

ფინანსური დოკუმენტის ცვლილების მიხედვით იზრდება მხარჯავი დაწესებულებების დაფინანსება:

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს - 2 964 600 ლარით; აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს - 7 300 ათასი ლარით; აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს - 11 683 400 ლარით; საერთო რესპუბლიკური მნიშვნელობის გადასახდელების - 43 092 ათასი ლარით.

2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით გადანაწილდა:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო - 7 125 900 ლარი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა - 5 456 700 ლარი;

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო - 136 448 200 ლარი;

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - 40 535 000 ლარი; აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო - 117 130 200 ლარი; აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო - 29 531 000 ლარი; საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები - 262 756 200 ლარი.

ბიუჯეტმა ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია

4

სპექტაკლი საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაზე

5

კრიალოსა N იუსი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ვიზიტის ფარგლებში, პეკინში, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერ ლი ციანის შეხვედრა გაიმართა. მხარეებმა განიხილეს ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ამოქმედებიდან დღემდე მიღწეული შედეგები, რამაც 2022 წელს 2 მილიარდ დოლარს მიაღწია. ირაკლი ღარიბაშვილმა ლი ციანს ტრანსპორტის, ლოგისტიკის, ენერგეტიკისა და განახლებადი ენერგიის წყაროების მიმართულებით ქვეყანაში არსებული პოტენციალი და მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები გააცნო. შეხვედრაზე ასევე იმსჯელეს საქართველოს სატრანზიტო პოტენციალზე და „შუა დერეფნის“ განვითარების მნიშვნელობაზე.



* * *

ჩინეთთან სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავება კარგია, მაგრამ ფრთხილად უნდა ვიყოთ ისეთი ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებით, რომელიც საერთო ინტერესებშია ჩვენს დასავლელ სტრატეგიულ პარტნიორ ქვეყნებთან, - განაცხადა ოპოზიციონერმა დეპუტატმა რომან გოცირიძემ. როგორც მან აღნიშნა, პრობლემა ისაა, რომ ხელისუფლებას ნდობა არ აქვს და ჩნდება ეჭვი. გოცირიძის თქმით, სტრატეგიულ პარტნიორობაში ჩინეთი არ დებს ისეთივე შინაარსს, როგორსაც აშშ და მასთან ასეთი პარტნიორობა აკავშირებთ ევროკავშირის ქვეყნებსაც.

* * *

ხელისუფლება დასავლეთში ძლიერ მოკავშირეებს გვაშორებს, რითაც იზრდება რუსული გავლენები და ქვეყანა უფრო და უფრო დაუცველი ხდება ოკუპანტის წინაშე, - განაცხადა პარტია „საქართველოსთვის“ წევრმა მიხეილ დაუშვილმა, რითაც სოჭიდან წამოსული ლაინერის ბათუმში შემოსვლას და აღნიშნულთან მიმართებაში მოქალაქეთა პროტესტს გამოეხმაურა. დაუშვილი აცხადებს, რომ რუსული გავლენების ზრდით ეროვნული უსაფრთხოება სუსტდება და დაუცველი რჩება ქვეყანა, ამიტომ მოსახლეობის პროტესტი რუსული გავლენების წინააღმდეგ ბუნებრივია.

მოამზადა
ია შველიძემ

ISSN 2720-8702

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

რუსთაველის ბიუსტი – პეკინის უნივერსიტეტში

პეკინის ენისა და კულტურის უნივერსიტეტში შოთა რუსთაველის ბიუსტი გაიხსნა. გახსნის ცერემონიაზე სიტყვით გამოსვლისას, ჩინეთის რესპუბლიკაში ვიზიტით მყოფმა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა:

„გულწრფელ მადლობას ვუხდი პრეზიდენტ სი ძინპინსა და მის მთავრობას, პეკინის ენისა და კულტურის უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, მსოფლიო ლიტერატურაში შოთა რუსთაველის ღვაწლის აღიარებისთვის... დღეს კიდევ ერთხელ დადასტურდა საქართველოსა და ჩინეთს შორის კულტურული გაცვლის, ცოდნის გაზიარებისა და მეგობრობის ხელშეწყობის იდეის ერთგულება. ეს შემთხვევა ადასტურებს ჩვენ ორ ერს შორის კულტურული და საგანმანათლებლო კავშირების გაღრმავებას და პატივს სცემს იმ მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობას, რომელიც აქვს როგორც საქართველოს, ისე ჩინეთს.

XII საუკუნის გამოჩენილი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის მიერ მსოფლიო ლიტერატურაში შეტანილი ღვაწლი უდიდესია და ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად აღინიშნება. მისი ეპიკური პოემა „ვეფხისტყაოსანი“ არა მხოლოდ ქართული ლიტერატურის შედევრია, არამედ მეგობრობის, სიბრძნის, ადამიანური ემოციებისა და ღირებულებების უნივერსალურობის დასტურიც არის. ეს არის ნაწარმოები, რომელიც სცილდება საზღვრებს, ენებსა და საუკუნეებს, რომელიც რეზონანსულია მთელ მსოფლიოში, მათ შორის აქაც - ჩინეთში.

დღევანდელი ცერემონია სიმბოლოა ჩვენი ერების მზადყოფნისა, მიიღონ ერთმანეთის მხატვრული და ინტელექტუალური მემკვიდრეობა, ხელი შეუწყონ ურთიერთგაგებასა და პატივისცემას და ხაზი გაუსვან ლიტერატურისა და ხელოვნების ძალას...

იმედი მაქვს, რომ ეს ქანდაკება იქნება შთაგონება ამ უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის და წაახალისებს ქართული ლიტერატურის, პოეზიისა და ჩვენი უნიკალური ენის უზარმაზარი სამყაროს შესწავლას. დაე, ეს ქანდაკება იდგეს მყარად, როგორც მეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის სიმბოლო და იყოს მოტივაცია, რომელიც მიგვიყვანს უფრო ნათელი და ურთიერთდაკავშირებული მომავლისკენ“.

„ცნობილმა ქართველმა პოეტმა შოთა რუსთაველმა თქვა: „ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“. მისი ბიუსტი დღეს პეკინის ენისა და კულტურის უნივერსიტეტის კამპუსშია, იგი ჩინეთ-საქართველოს მეგობრობას განასახიერებს. ის ასევე წარმოადგენს ორ ქვეყანას შორის ჩინური და ქართული ცივილიზაციის სიღრმისეული ურთიერთსწავლების სიმბოლოს,“ - განაცხადა თავის გამოსვლაში პეკინის ენისა და კულტურის უნივერსიტეტის პრეზიდენტმა ტუან ფენგმა.

ღონისძიებაზე სტუდენტებმა კულტურული პერფორმანსი წარმოადგინეს.

ანკა ჩხიკვაძე

შეთანხმება – მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბების თაობაზე

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სიჩუანის პროვინციას შორის მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბების შესახებ შეთანხმება გაფორმდა

ინფორმაციას საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს. დოკუმენტს ხელი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ილია დარჩიაშვილმა და სიჩუანის გუბერნატორმა ჰუან ციანმა მოაწერეს.

ხელმოწერის ცერემონიის შემდეგ მხარეები ერთმანეთს შეხვდნენ და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და სიჩუანის რეგიონს შორის ურთიერთობების შემდგომი გაღრმავების პერსპექტივებზე ისაუბრეს. ჰუან ციანმა მინისტრს გააცნო სიჩუანის რეგიონი და მისი პოტენციალი სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის მწვანე ენერგიის, მაღალი ტექნოლოგიების, ტურისტული პოტენციალის და ა.შ. მან გამოთქვა მზადყოფნა, სიჩუანში უმასპინძლოს მაღალი დონის დელეგაციებს საქართველოდან, რათა შედგეს კონკრეტული და შედეგზე ორიენტირებული თანამშრომლობა ჩინეთისა და საქართველოს ცალკეულ მხარეებს შორის.

თავის მხრივ ილია დარჩიაშვილმა გუბერნატორს მიაწოდა ინფორმაცია საქართველოს შესახებ. ხაზი გაუსვა საქართველოს გეოპოლიტიკურად სტრატეგიულ მდებარეობას, მის მნიშვნელობას შუა დერეფნისა და აბრეშუმის გზის პროექტის ფარგლებში. ცალკე ისაუბრა აჭარის რეგიონისა და მისი სექტორული უპირატესობების შესახებ. მინისტრმა ვრცლად მიმოიხილა აჭარის რეგიონის სექტორული მიმართულებები. ხაზი გაესვა ავტონომიური რესპუბლიკის მზარდ ტურისტულ პოტენციალს, ბიზნესშესაძლებლობებს და აჭარის საკვანძო სატრანზიტო მნიშვნელობას.

მხარეები მიესალმნენ საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ურთიერთობის ახალი ეტაპის, სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ თანამშრომლობის დაწყებას.

ანკა ჩხიკვაძე

გაზრდილი ბიუჯეტი და ახალი პროექტები

ცოტნე ცაბაძე 27 48 94

ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე, რომლის მუშაობაში მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე მონაწილეობდა, დეპუტატებმა გაზრდილი ბიუჯეტი და ახალი პროექტები დაამტკიცეს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისგან მიღებული კაპიტალური და სპეციალური ტრანსფერის ფარგლებში, ხულოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 1 700 000 ლარით გაიზარდა და 25 070 000 ლარი შეადგინა. შესაბამისად გაიზარდა არსებული პროექტებისა და პროგრამების დაფინანსება. ესენია: სოფლების შიდასაუბნო გზების მოსაწყობად მზა ბეტონის შეძენა; ფერდსამაგრი სამუშაოები; სოფლებში ადმინისტრაციული შენობების მშენებლობა; სპორტული ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა; დაბა ხულოში ახალგაზრდული ცენტრის რეაბილიტაცია; საპროექტო მომსახურების შესყიდვა; დაბა ხულოში საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრის შენობის მშენებლობა; მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

დაფინანსდება ახალი ღონისძიებები: სოფელ ქვემო ვაშლოვანიდან სატბაოს ტერიტორიის მიმართულებით ელექტროგადამცემი ქსელის მოწყობა; სოფელ წინწკალაშვილებში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია; სოფელ ლაბაიძეების სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია; სოფელ განახლებაში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა.

ბიუჯეტის ცვლილებაზე მოსაზრებები გამოთქვეს ვახტანგ ბერიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძემ და სხვებმა.

„მობილური იუსტიციის სახლი“ – ქართული ინოვაციური პროექტი

ნაილე ხერთვისელი 27 48 93

„მობილური იუსტიციის სახლი“ მთელ საქართველოშია. იუსტიციის სამინისტროს ცნობით, პროექტი სპეციალურად შემუშავდა ქალაქებისგან მოშორებით მდებარე დასახლებებისათვის და საშუალებას აძლევს სოფლად მცხოვრებ მოქალაქეებს, იუსტიციის სახლში მისვლის გარეშე, საკუთარი სახლის ჭიშკართან მიიღონ სახელმწიფო და კერძო სექტორის 450-ზე მეტი სერვისი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ საჩინოში მომსახურების გაცემის პროცესს იუსტიციის მინისტრი რატი ბრეგაძე, პირველი მოადგილე თამარ ტყეშელაშვილი და მოადგილეები - ბექა ძამაშვილი და ბუბა ლომჯუაშვილი დაესწრნენ. „მობილური იუსტიციის სახლის“ პროექტი 2021 წლის სექტემბერში აჭარის რეგიონში დაიწყო. ის 10 რეგიონის - სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთის, აჭარის, გურიის, კახეთის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთის სოფლებს მოიცავს. პროექტის ამოქმედებიდან დღემდე, „მობილური იუსტიციის სახლის“ სერვისებით 42 000-ზე მეტმა მომხმარებელმა ისარგებლა. „მოხარულები ვართ, რომ ქართული ინოვაციური პროექტი „მობილური იუსტიციის სახლი“ საკმაოდ წარმატებული გამოდგა და დღეს უკვე გვყავს სათანადო ტექნიკით 20 აღჭურვილი მიკროავტობუსი, რომლებიც მთელი საქართველოს მასშტაბით სოფლად მცხოვრებ მოქალაქეებს, იუსტიციის სახლში მისვლის გარეშე, 450-ზე მეტი სერვისით მოემსახურება“, - აღნიშნა იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ.

ამბები

შაბათ–კვირის ქრონიკა

რიგით მე-16 შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალი ოფიციალურად 30 ივლისს დასრულდა. წელს ფესტივალს სამი დღის განმავლობაში უმასპინძლა სივრცე - „Stage 17“-მა. სცენა დაიკავეს მსოფლიოში აღიარებულმა მუსიკოსებმა: ლეგენდარულმა მარკუს მილერმა, „ბრუკლინ ფანკ ესენშელმა“, „სოულ თრეინმა“ და „ბედფორდ ფოლსმა“. ჯაზფესტივალის პირველ დღეს მაყურებლის წინაშე წარსდგა 2014 წელს შექმნილი ქართული ჯგუფი „ბედფორდ ფოლსი“, მოგვიანებით კი სცენა „სოულ თრეინმა“ დაიკავა, რასაც მელომანების განსაკუთრებული ოვაციები მოჰყვა.

* * *

„ისწავლე დასაქმებისთვის“ პროექტის ფარგლებში, საზღვაო ბიზნესფორუმი გაიმართა. შეხვედრის მთავარი მიზნებია - სწავლა, წვრთნა, მიღწევა და კავშირების დამყარება დასაქმებისთვის. ფორუმი ორგანიზებულია განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის მიერ აჭარის დასაქმების სააგენტოსთან და ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტთან პარტნიორობით და მისი მიზანია საქართველოს, როგორც საზღვაო ქვეყნის პოპულარიზაცია, საზღვაო სექტორში დასაქმების საერთაშორისო შრომის ბაზარზე საქართველოს როლის შეფასება. ფორუმზე განიხილეს საზღვაო შრომის ბაზრის გამოწვევები და მათი გადაწყვეტის გზები.

* * *

ბაგრატიონის ქუჩაზე ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა სრულდება. პროექტის ფარგლებში მოეწყო სანიაღვრე სისტემა, ტროტუარები და ბორდიურები. დამონტაჟდა განათება, განთავსდა საბავშვო ატრაქციონები და საბაღე სკამები. სამუშაოები აგვისტოს ბოლომდე დასრულდება. პროექტის ღირებულება 1 მილიონ 541 ათას ლარს შეადგენს. დაწყებულია 22 საბავშვო ბაღის მშენებლობა და რეაბილიტაცია. აშენდება - 6, რეაბილიტაცია ჩაუტარდება - 16-ს, მათ შორის, 12 ბაღში ენერგოეფექტურობის ევროპული სტანდარტები დაინერგება. მიმდინარე და მომდევნო წელს საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის 24 მილიონ 300 ათასამდე ლარი დაიხარჯება.

* * *

საავტორო უფლებათა ასოციაციამ ბათუმში ოფისი გახსნა, რომელიც რეგიონული იქნება და დასავლეთ საქართველოს მოემსახურება. როგორც ასოციაციის წევრები ამბობენ, ახალი ოფისის გახსნის მიზანია, გააადვილოს კომუნიკაცია როგორც ავტორებთან, ასევე მოსარგებლეებთან, რამაც, თავის მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ავტორთა კუთვნილი ჰონორარის უფრო ეფექტიანად შეგროვებას. ოფისის გახსნას ასოციაციის წევრები და ხელოვნების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

* * *

ელიტარული ინტელექტუალური კლუბის „რა? სად? როდის?“ საზაფხულო სეზონი ნიკოლოზ ჭურაძის ექვსეულის გამარჯვებით დასრულდა. საღამოს კულმინაციისას საუკეთესო მოთამაშედ და შესაბამისად, ბროლის ბუს მფლობელად საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის გადაცემა „ბიბლიოთეკის“ წამყვანი მარიამ კორინთელი დასახელდა.

**მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ**

„2024 წლის არჩევნები ჩვენი ქვეყნისთვის იქნება არა მხოლოდ ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან დაახლოების, არამედ დემოკრატიულობის ტესტიც“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

პოლიტიკურ ველზე ახალი გადანაწილებაა, ზოგი პარტია საარჩევნოდ ახალ პლატფორმას ქმნის, ზოგი მესამე ძალაზე აცხადებს პრეტენზიას და ოპოზიციური სპექტრს გაერთიანებისკენ მოუწოდებს, ოღონდ „ნაცმოძრაობის“ გარეშე, სხვა პარტიები ჯერჯერობით დაკვირვების რეჟიმში იმყოფებიან, თავის მხრივ მმართველი გუნდი არჩევნებში დამაჯერებელ გამარჯვებაზე საუბრობს, რაშიც ოპოზიციას ეჭვი შეაქვს და აცხადებს, რომ ხელისუფლება, როგორც ყოველთვის, არჩევნების გაყალბებას შეეცდება



ამასობაში ახლოვდება ევროკავშირის ვერდიქტი საქართველოსთან მიმართებით. უდავოა, რომ კანდიდატის სტატუსის მონიჭება საქართველოს მომავალს მნიშვნელოვნად შეცვლის უკეთესობისკენ, საპირისპირო შედეგის დადგომის შემთხვევაში კი, ცხადია, ჩვენი ქვეყანა რუსეთის ორბიტაში მოექცევა, რაც ქართულმა პოლიტიკურმა სპექტრმა არ უნდა დაუშვას. ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე „აჭარასთან“ საჯარო მმართველობის დოქტორი, ბსუ-ის ლექტორი ***გიგა შარტენავე*** *საუბრობს.*

- როგორია თქვენი აზრი დღეს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე ქვეყანაში, რა ასპექტებს გამოჰყოფდით?

- ქვეყნის წინაშე მდგარ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრის დროს უპრიანი იქნება, თუ ვიმსჯელებ მის მაპროვოცირებელ გარემოებებზე და ზოგადად, იმაზე, თუ რა ქმნის აღნიშნულ რეალობას. პირველი, რასაც გამოვყოფდი, რუსეთის წარუმატებელი ომი უკრაინაში და ჩვენს ქვეყანაში ამით გამძაფრებული პოლიტიკური კლასის გახლეჩილობაა, მეორე - კვლავ რუსეთის, თუმცა ამჯერად, წარმატებული ჰიბრიდული ომია თავისუფალი და ევროპული საქართველოს წინააღმდეგ და, სამწუხაროდ, სახელმწიფოს ოფიციალური პოზიციაა ყველაფერ ამაზე, მესამე - ორპოლუსიანობის მცდელობის შენარჩუნება და „მესამე (ალტერნატიული) ძალის“ შექმნის მცდელობის მაქსიმალური ხელშეშლა ან რომელიმე პოლუსისთვის მიკუთვნება და მეოთხე - 12 რეკომენდაცია, საქართველოს საგარეო კურსი, მის ირგვლივ განვითარებული მოვლენები და მოახლოებული საპარლამენტო არჩევნები, რომელიც, შეგვიძლია ვთქვათ, რომ უკვე აქტიურ ფაზაში შევიდა.

- თქვენ მნიშვნელოვანი თემები ჩამოთვალეთ... აშკარაა, რომ ქვეყანა არაოფიციალურ საარჩევნო რეჟიმში გადავიდა, ახლახან „ნაცმოძრაობამ“ და „სტრატეგია აღმაშენებელმა“ ახალი პლატფორმა შექმნეს...

- ყოფილი წევრების გაყრა, შემდეგ ისევ შერწყმა ნიშნავს, რომ „ადგილების გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება“. რეალურად, თუ ამ ორი პარტიის მიზანი იყო, სხვა ოპოზიციური ძალებისთვის ეჩვენებინათ მაგალითი, რომ ერთიანი ძალებით უნდა იბრძოლონ ხელისუფლებაში მყოფი მმართველი პარტიის დასუსტებისთვის - ჯერ მიზანი არ არის მიღწეული. მეორე, ამ ნაბიჯის სარგებლიანობაზე თუ ვისაუბრებთ, „სტრატეგია აღმაშენებლის“ ინტეგრაცია „ნაციონალურ მოძრაობაში“ ნიშნავს გარანტიას, რომ ამ პარტიის ხელმძღვანელობა თუ წარმომადგენლები 2024 წლის არჩევნების შედეგად პარლამენტში მოხვდებიან (დამოუკიდებლად მათ 5%-იანი ბარიერის პირობებში ამის შანსი ფაქტობრივად, არ გააჩნდათ), ხოლო „ნაციონალური მოძრაობის“ სარგებელი იქნება მხოლოდ და მხოლოდ ახალი ინტელექტუალური ძალების და ინსტიტუციური მიდგომების სინთეზი აღნიშნულ პარტიაში, რაც, ვფიქრობ, უდავოდ სჭირდებოდა დღევანდელ „ნაცმოძრაობას“.

- ანალოგიურად ახსნა ამ ალიანსის მიზეზი „ლელომაც“, ოღონდ აღნიშნეს, რომ უნდა შეიქმნას ახალი ცენტრი „ნაცმოძრაობის“ გარეშე, როგორია თქვენი აზრი ამის შესახებ?

- მოდით, ჰიპოთეტურად დავუშვათ, რომ ქართულმა პოლიტიკურმა ოპოზიციამ მოახერხა დღეს მოქმედი ხელისუფლების დამარცხება, ვთქვათ, ცვლილებები მოხდა არჩევნების გზით და დღის წესრიგში დადგა კოალიციური მთავრობის ფორმირება - ვინ შეძლებს მთავრობის კაბინეტის დაკომპლექტებას? ბუნებრივია, იმას, ვისაც ყველაზე მაღალი მხარდაჭერა აქვს საზოგადოებისგან და ასეთი ოპოზიციური ფლანგიდან სიის სათავეში მაღალი ალბათობით იქნება „ნაციონალური მოძრაობა“ და, შესაბამისად, თანმიმდევრობით ბარიერგადალახული სხვა პარტიები. ასეთ დროს რა ხდება? - „ლელო“ უარს ამბობს იმ მთავრობის შემადგენლობასთან ერთად შეთანხმებულად მუშაობაზე, სადაც „ნაცმოძრაობის“ კანდიდატებიც იქნებიან თუ პირიქით? რბილად რომ ვთქვათ, პარადოქსულად ჟღერს... თუ ოპოზიციურ ფლანგს რეალურად სურს პოლიტიკური ცვლილებები ქვეყანაში, გაიხსენონ გასული წლების პრაქტიკა, გამოცდილება, შეცდომები და მხოლოდ ამის შემდეგ ისაუბრონ გადაჭრით ცვლილებების დაჩქარებაზე. თუ მიზანი ხელისუფლების შეცვლა და კოალიციური მთავრობის ფორმირებაა, ასეთ შემთხვევაში ეს განცხადება უიმედოა და ოპოზიციურ ფლანგს უფრო ასუსტებს, ვიდრე აძლიერებს, რადგან პოლიტიკურ პარტიებს, მოსწონთ თუ არა, რეალობა ისაა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ოპოზიციურ ფლანგზე ელექტორატის ყველაზე მაღალი მხარდაჭერით სარგებლობს, რაც გულისხმობს, რომ კოალიციური მთავრობის პირობებში მათთან ერთ კაბინეტში ყოფნა გარდაუვალი იქნება. „ლელოს“ სტრატეგიას და მსჯელობას თუ გავყვებით, ასეთ შემთხვევაში მას შეუძლია აქცენტი გააკეთოს ქვეყანაში არსებულ იმ ამომრჩევლებზე, რომლებიც ანტინაცები არიან და ამავე დროს, მხარს არ უჭერენ მმართველ ძალას. მართალია ასეთი ამომრჩევლების რაოდენობა ქვეყანაში წლიდან წლამდე მატულობს, თუმცა მათი პოლიტიკური სიმპათიები უნდა გადაიხაროს რომელიმე არსებული პოლიტიკური ძალისკენ ან ასეთი ახალი უნდა გაჩნდეს, მაგრამ წარსული გამოცდილებიდან თუ ვიმსჯელებთ, „ლელო“ ვერ გახდა ის მიზიდულობის ცენტრი, რომელიც ამ ამომრჩევლებისთვის „ალტერნატივად“ იქნებოდა განხილული.

- რეალურად თუ ჩამოყალიბდება მესამე ძალა, რა შანსი აქვს კონკურენცია გაუწიოს მმართველ პარტიას და „ნაცმოძრაობას“?

- თუ ჩამოყალიბდება მესამე ძალა, ჩვენ, მაღალი ალბათობით, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად საქართველოში გვეყოლება პირველი კოალიციური მთავრობა. შანსებს რაც შეეხება, მმართველ პარტიას ჰყავს თავისი მხარდამჭერები, ასევე აქვს როგორც ფინანსური, ისე სახელმწიფოებრივი რესურსები ელექტორატის შენარჩუნებისთვის, „ნაცმოძრაობასაც“ ჰყავს სტაბილური ამომრჩეველი, თუმცა ამ პარტიის თავმჯდომარის არჩევნებმა დიდი დარტყმა მიაყენა თავად პარტიას (ფაქტობრივად, ოპოზიციურ ორბიტაზე პარტიის ერთ მუშტად ყოფნის შესაძლებლობა გაქრა, თუმცა „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერების ეს გაურკვევლობა არცერთ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ ისინი „ქართული ოცნების“ პოტენციურ მხარდამჭერებად იქცევიან. სწორედ ამიტომ აქ კონკურენციაზე საუბარი უფრო ნაკლებად მგონია მიზანშეწონილი, პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა იზრუნონ იმ ამომრჩეველთა ხმების მობილიზებასა და მოზიდვაზე, რომლებიც არც „ქართულ ოცნებას“ და არც „ნაციონალურ მოძრაობას“ არ უჭერენ მხარს. ასეთი ამომრჩევლის რაოდენობა, კიდევ ერთხელ განვმეორდები, საქართველოში ძალიან დიდია.

- ქართულ პოლიტიკაში ურთიერთბრალდებები არახალია, ამ მხრივ ოპოზიციის წარმომადგენლები ერთმანეთს არ ინდობენ, მაგალითად, ნათელაშვილმა განაცხადა, ოპოზიციის ძირითადი ნაწილი მიეყიდა ხელისუფლებასო...

- ბატონი შალვას განცხადება ირიბად თუ პირდაპირ, ხელს უწყობს ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკური პარტიების მიმართ ნიჰილიზმის და უიმედობის განცდის გაღვივებას, რაც ასევე ხელს უწყობს პოლარიზაციასაც. თუ რომელიმე პოლიტიკური პარტიის ლიდერს, წარმომადგენელს შეუძლია, სარწმუნო ფაქტებით წარსდგეს საზოგადოების წინაშე თავისი ბრალდებების გასამყარებლად, ამას ნამდვილად ექნება პოზიტიური შედეგი, მაგრამ თუ პარტიების მხრიდან ბრალდებები მხოლოდ და მხოლოდ ბრალდებებია საკუთარი ამბიციების თუ სურვილების დასაკმაყოფილებლად და ეს მხოლოდ ერთ-ერთი საშუალებაა ამ მიზნამდე მისაღწევად, მაშინ, უბრალოდ, ჰაერს გატანებული განცხადებებია.

- ცხადია, ხელისუფლებაც აქტიურობს, ხვდება მოსახლეობას, ექსპერტები აცხადებენ, რომ თუ ოპოზიცია არ გაიღვიძებს, „ქართულ ოცნებას“ არ გაუჭირდება არჩევნების მოგება. როგორია თქვენი აზრი?

- დღევანდელი მოცემულობის გათვალისწინებით, იმის გათვლას, რამდენი აქვს „ქართულ ოცნებას“ შანსი რომ მხარდამჭერთა რაოდენობით პირველი პოლიტიკური პარტია იყოს 2024 წლის არჩევნებზე, არ სჭირდება დიდი ცოდნა და ანალიზი. ოპოზიციის დაბნეულობა თუ გაურკვევლობა, ერთმანეთთან დადგომის თუ ვერდადგომის კომპლექსები, „ოცნების“ მხარდამჭერთა რაოდენობა (შემცირებული, თუმცა მაინც მსუყე), ამას დამატებული საჯარო უწყებაში მომუშავეთა რიცხვი და ადმინისტრაციული რესურსი - ეს ყველაფერი მეტყველებს „ოცნების“ უპირატესობაზე, მაგრამ აქ არის ერთი ძალიან მნიშვნელოვანი „მაგრამ“ - „ქართული ოცნებისთვის“ ეს არ იქნება რიგითი საპარლამენტო არჩევნები, რომელიც ჩაუტარებია 2012 წლიდან დღემდე, რადგან უკრაინაში რუსეთის შეჭრის მიმართ ორაზროვანმა პოზიციებმა დასავლელი პარტნიორების, ელჩების, ევროპარლამენტის წარმომადგენლების პირდაპირმა და, ხშირ შემთხვევაში, უსაფუძლო ლანძღვამ, „აგენტის შესახებ კანონის“ მიღების მცდელობამ, რუსეთთან პირდაპირი ფრენების და უვიზოდ მიმოსვლის აღდგენამ, ანტიდასავლური რიტორიკის ხელშეწყობამ და პროორუსული განწყობების გაძლიერებამ მას დააკარგვინა იმ ამომრჩეველთა მხარდაჭერა, რომლებიც 2011 წლიდან გვერდში ედგა როგორც ევროპულ და პროდასავლური ღირებულებების მქონე პარტიას. სწორედ ამიტომ ეს არჩევნები უკვე არის განსაკუთრებული და განსხვავებული აქამდე ჩატარებული არჩევნებისაგან.

- არჩევნებში მნიშვნელოვანია მოსახლეობის აქტიურობა, ვხედავთ, რომ ამომრჩეველი დიდად არ აქტიურობს, ამ მხრივ ოპოზიციამ რა უნდა მოიმოქმედოს?

- აბსენტეიზმი (არჩევნებში მონაწილეობისთვის თავის არიდება) განპირობებულია პოლიტიკური კლასის მიმართ უნდობლობით. თუ პარტიებს უნდათ არჩევნებში ისეთი ადამიანების ყურადღების მიქცევა, რომლებსაც, უბრალოდ, არ სჯერათ პოლიტიკური პარტიების დაპირებების და, ზოგადად, მათი, უნდა იზრუნონ საკადრო პოლიტიკის შეცვლაზე. პოლიტიკური პარტია

იხ. მე-7 გვ.

> ***„იმის გათვლას, რამდენი აქვს „ქართულ ოცნებას“ შანსი რომ მხარდამჭერთა რაოდენობით პირველი პოლიტიკური პარტია იყოს 2024 წლის არჩევნებზე, არ სჭირდება დიდი ცოდნა და ანალიზი. ოპოზიციის დაბნეულობა თუ გაურკვევლობა, ერთმანეთთან დადგომის თუ ვერდადგომის კომპლექსები, „ოცნების“ მხარდამჭერთა რაოდენობა (შემცირებული, თუმცა მაინც მსუყე), ამას დამატებული საჯარო უწყებაში მომუშავეთა რიცხვი და ადმინისტრაციული რესურსი - ეს ყველაფერი მეტყველებს „ოცნების“ უპირატესობაზე, მაგრამ აქ არის ერთი ძალიან მნიშვნელოვანი „მაგრამ“...***

უცხოეთი

ცენტრალური ევროპის ხუთ ქვეყანას - ბულგარეთს, უნგრეთს, რუმინეთს, სლოვაკეთსა და პოლონეთს სურს, რომ უკრაინული მარცვლეულის იმპორტის აკრძალვა წლის ბოლომდე გახანგრძლივდეს. პოლონეთის მმართველი პარტიის ლიდერ იაროსლავ კაჩინსკის განცხადებით, პოლონეთი უკრაინულ მარცვლეულს ქვეყანაში 15 სექტემბრის შემდეგაც არ შეუშვებს. ამასთან, თუ უკრაინული მარცვლეულის იმპორტის აკრძალვა ევროკავშირის დონეზე არ გახანგრძლივდება, პოლონეთი ამას თავად გააკეთებს. „პოლონეთი ვერ გაწირავს თავის სოფლის მეურნეობას და ჩვენმა უკრაინელმა მეგობრებმა ეს უნდა გაიაზრონ“, - აღნიშნა იაროსლავ კაჩინსკიმ.

* * *

ჩინეთი და საფრანგეთი მჭიდრო ეკონომიკურ თანამშრომლობას განაგრძობენ. ამ დღეებში პეკინში, ორი ქვეყნის ფინანსურ-ეკონომიკური დიალოგის ფარგლებში, რიგით მეცხრე შეხვედრა გაიმართა, სადაც მხარეებმა ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. ჩინეთს სტრატეგიული პარტნიორობა აქვს 100-მდე ქვეყანასთან, მათ შორის ამერიკასთან, საფრანგეთთან, იტალიასთან, გერმანიასა და დიდ ბრიტანეთთან. გარდა ამისა, ჩინეთი ბრაზილიის, კანადის, მექსიკისა და არგენტინის პარტნიორია. ასევე თანამშრომლობს სამხრეთ კორეასთან, პაკისტანთან, თურქეთთან, მონღოლეთთან, ყაზახეთთან, უზბეკეთთან, ტაილანდსა და ეგვიპტესთან.

* * *

რუსი სამხედროები უკრაინის შეიარაღებული ძალების თავდასხმების მოგერიებით არა მხოლოდ თავიანთ ქვეყანას იცავენ, არამედ ხელს უშლიან გლობალური კონფლიქტის გაღვივებას, - განაცხადა რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი მედვედევმა. მისივე თქმით, კიევის მიმდინარე კონტრშეტევა წარმატებული რომ იყოს, რუსეთს ბირთვული იარაღის გამოყენება მოუწევდა. „ამიტომ ჩვენმა მტრებმა ჩვენი ჯარისკაცებისთვის უნდა ილოცონ. ისინი არ უშვებენ მსოფლიო ბირთვული ცეცხლის გაჩაღებას“, - დასძინა მან.

* * *

პაკისტანის ხაიბერ-პახტუნხვას პროვინციაში, პოლიტიკური პარტია „ჯამიათ ულემა-ე-ისლამ-ფაზლის“ მხარდამჭერების შეხვედრაზე მომხდარი აფეთქების შედეგად დაღუპულთა რაოდენობა 44-მდე, დაშავებულების რიცხვი კი 200-მდე გაიზარდა. ადგილობრივი პოლიციის განცხადებით, აფეთქება თვითმკვლელმა ტერორისტმა განახორციელა. თავდასხმის უკან, სავარაუდოდ, ე. წ. ისლამური სახელმწიფო დგას.

* * *

საბერძნეთში ტყის ხანძრების უმეტესობა ადამიანებმა გამოიწვიეს, - განაცხადა ქვეყნის სამოქალაქო დაცვის მინისტრმა გასილის კიკილიასმა. მისივე თქმით, „ასევე იყო რამდენიმე შეტყობინება აფეთქებების შესახებ. 10 დღეში 667 ხანძარი გვქონდა“, - აღნიშნა კიკილიასმა.

მოამზადა
ია შველიძემ

იდეა რეალობად იქცევა

შუახევის მუნიციპალიტეტის უჩამბის ადმინისტრაციულ ერთეულში რიგი პროგრამები და პროექტები განხორციელდა. წლის ბოლომდე კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი სიახლის მომსწრენი გახდებიან ადმინისტრაციული ერთეულის 6 სოფლის და რამდენიმე უბნის მკვიდრნი. გვესაუბრება მერიის წარმომადგენელი ამ სტრუქტურულ ერთეულში ემზარ დავითაძე



- პირველ რიგში, მკითხველს, დაინტერესებულ საზოგადოებას მინდა ვაუწყო, რომ მთა ღომას ტურისტული პოტენციალის ათვისება, აქაური სასარგებლო კლიმატის ქვეყნის სამსახურში ჩაყენებისთვის ზრუნვა იწყება. რამდენიმე დღის წინ აქ საქართველოს ტურიზმის განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელის ალექსანდრე ონოფრიშვილისა და სხვა პირების ჩამოსვლა, ტერიტორიის მონახულება, ცალკეული საკითხებით დაინტერესება, მთის კურორტის განვითარების პროექტის შედგენა მრავლისმთქმელი და საიმედო მომავლის წინაპირობაა. 17 წელია, სპეციალობით ეკონომისტი, ხელმძღვანელ თანამდებობაზე ვმუშაობ, ბოლო 5 წელია ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელობა მანდეს. ადამიანი ისტორიას, ხალხის მეხსიერებას რომ შემორჩე, ღირსეული, ქვეყნის სასიკეთო საქმეები უნდა აკეთო. რეგიონის, შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებთან ერთად, მეც მექნება სათქმელი, რომ მთა ღომას ტურისტული პოტენციალის ათვისება, მისი სამთო კურორტად გამოცხადება ჩემს მუშაობასთანაცაა კავშირში.

- ამ წამოწყების ინიციატორი ვინ არის?

- ისევ და ისევ, რეგიონის პირველი პირი და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა. კარგად მახსოვს შუახევის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოების 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების წინ, უჩამბელი ამომრჩეველი მერობის კანდიდატს, ახლა უკვე მერ ომარ ტაკიძესა და საკრებულოს მაჟორტარი დეპუტატობის კანდიდატს, ახლა შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძეს როგორ სთხოვდა, მთა ღომას ტურისტული პოტენციალის ათვისებისთვის ეზრუნათ. მათ პირობას საქმით უპასუხეს. საზოგადოებას გოდერძის კურორტად გამოცხადების პირველი წლებიც კარგად ახსოვს. ბევრს დღესაც არ სჯერა, რომ აჭარის მთიანეთში ასეთი კურორტი გვაქვს. შავ ზღვასთან სიახლოვით, გამორჩეული ფლორით, საკალთებზე. აგვისტო დადგა და წინაველასა და ღომას მწვერვალის ფერდობზე თოვლის ნამქერები ისევაა შემორჩენილი. ისიც სათქმელია, რომ მალე ბათუმიდან მერისის ხეობაზე გავლით, ასფალტბეტონიანი, თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი საავტომობილო გზა გვექნება, რაც რეგიონის ახლანდელი ხელმძღვანელობის თანადგომის შედეგია. შუახევის მუნიციპალიტეტის ცენტრიდან მთა ღომამდე 20 კილომეტრზე მეტია. გზის უმეტესი ნაწილი მოასფალტებულია. 2 კილომეტრზე ბეტონის საფარი წელს დაიგება. როგორც ტურიზმის განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელი შეგვპირდა, კვირიაულის დასახლებიდან მთა ღომამდე საბაგირო გზა გაკეთდება, რაც საფუძველს იძლევა, რომ ღომა ოთხივე სეზონის კურორტი გახდეს.

- კვირიაულის დასახლების ცენტრის სახეცვლილებაზეა საუბარი...

- ამ ტერიტორიაზე პირველმოსახლეები საუკუნეების წინათ იყვნენ. იგი ცინარეთის ციხესთანაა. ისტორიკოსებს თუ ვერწმუნებით, მეციხოვნეებს აქ გამოჭედილი საბრძოლო იარაღებით ამარაგებდნენ. საჭირო ლითონს სოფელ გოგაძეებში არსებულ «კლდის ქვაბებში» ადნობდნენ. მადანსაც გუდნასა და მერისის ხეობაში მოიპოვებდნენ. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში კვირიაულში რუსული სამხედრო კომენდატურა იყო. ის შენობები ახლაც გამოიყენება, ერთ-ერთში ადმინისტრაციული ერთეულის ოფისია განთავსებული. რეგიონისა და შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა კვირიაულის ცენტრის კეთილმოწყობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. უკვე მზადაა პროექტი და მალე კონკურსიც გამოცხადდება, არსებული შენობები დაიშლება და ახალი აშენდება. აქ სანატორიუმის მოწყობასაც არ გამორიცხავენ. კვირიაული 5 კილომეტრითაა მოშორებული დაბა შუახევის ცენტრს. ღონისძიებები, რომელთა გამართვას ღია ცის ქვეშ დააპირებენ, კვირიაულშიც გაიმართება. კეთილმოწყობის დროს საამისო სივრცეს ვტოვებთ.

- ივლისის ბოლოს გამართულ შუახევის მუნიციპალიტეტის სხდომაზე სოფელ სამოლეთის ცენტრის კეთილმოწყობაც დადგა დღის წესრიგში.

- ამ პროექტზე, რომელიც გარდამავალია, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 300 ათასი ლარია მობილიზებული. წელს 180 ათასი ლარის ათვისება იგეგმება. კონკურსში გამარჯვებული კომპანია მალე სამუშაოებს შეუდგება. შუახევში 10-მდე პირველადი ჯანდაცვის ცენტრი მოქმედებს. მათგან ყველაზე შეუფერებელ, ყოფილ პურის საცხობის შენობაში სამედიცინო ობიექტი იყო განთავსებული. შემდეგ მეორე სართული დააშენეს, მაგრამ «სოფლის სახლის» დანიშნულებით აგებულ შენობაში არავინ შესულა... რაკი სოფლების ცენტრების კეთილმოწყობაზე ვსაუბრობთ, აღვნიშნავ, რომ ყველაზე კარგი მდგომარეობა ჩვენთანაა. მხოლოდ სოფელ გოგაძეების ცენტრია კეთილმოსაწყობი.

- 7 ივლისს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიას ძლიერმა წვიმამ, ქარიშხალმა და სეტყვამ გადაუარა. რა კეთდება სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ?

- ასეთი უხვნალექიანი, კონტრასტული ამინდებით გამორჩეული ზაფხული იშვიათობაა. მთის სოფლებისთვის კოკისპირული წვიმა, წყალმოვარდნები იშვიათობა არაა, მაგრამ მსხმოარე ხეხილს, ვაზს, სიმინდის ყანებს, ბაღჩა-ბაღებს რამდენიმე წუთში სტიქია რომ იავარქმნის, საშინელებაა. დაზარალდნენ ფერმერები. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, შუახევის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს პასუხისმგებელმა პირებმა მათი ნაკვეთები ჩამოიარეს, ზარალი აღწერეს. შუახევის მუნიციპალიტეტის მწირი ბიუჯეტი მათ ზარალს ვერ გასწვდება, ამიტომ ისევ რეგიონისა და ქვეყნის ხელისუფლების თანადგომის იმედზე ვართ. კარგად გაისარჯნენ აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელები. ისინი უმალვე სტიქიის ზონაში მოვიდნენ, ტექნიკა და მექანიზატორები დაზიანებული გზების აღსადგენად მოავლინეს.

- სკოლების, სამედიცინო და კულტურული ობიექტების მატერიალური ბაზის განმტკიცება ისევ აქტუალურ საკითხად რჩება. თქვენთან რა მდგომარეობაა?

- ყველა სოფელში 21-ე საუკუნეში აშენებული ან რეაბილიტირებული სკოლების შენობები გვაქვს. კვირიაულში, ლაკლაკეთში, ვერხვანაში ადგილობრივი ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხებით არსებული შენობები შევაკეთეთ, ახალი ავაშენეთ. მოსწავლეთა კონტინგენტის სიმცირის გამო, ოკისში, გორაზე, ლომსიანეთში ყოფილი დაწყებითი სკოლები გაუქმდა. ჯაბნიძეებში, ტბეთში, წაბლანასა და ცინარეთში თემის სამედიცინო პუნქტები მოქმედებს, სადაც ადგილობრივი კადრები არიან დასაქმებულები. კვირიაულსა და სამოლეთში ცენტრების მოწყობის შემდეგ, პირველადი ჯანდაცვის ობიექტებიც თანამედროვე სტანდარტების შენობებში განთავსდება. ადრე უჩამბაში სასოფლო კულტურის სახლი, სოფლებში კლუბ-ბიბლიოთეკები გვქონდა. მათი ხელაღებით გაუქმების შემდეგ, აღარც კლუბები შემოგვრჩა და აღარც როლანდ ივანაძის მიერ ჩამოყალიბებული ფოლკლორული ანსამბლი. ბიბლიოთეკა მხოლოდ სამოლეთში აღადგინეს.

- უჩამბა ის ადმინისტრაციული ერთეულია, სადაც საერო და საღვთო დღესასწაულები, კერძოდ, «ჯვარობა» იმართება.

- აგვისტო აჭარის მთიანეთში სახალხო დღესასწაულ «შუამთობის» თვეა. 6 სოფლის მოსახლეობა ზაფხულობით ჩირუხისა და ღომას მთებში გადის. ჩირუხში მასობრივი ღონისძიებების მოსაწყობად გასართობი ცენტრი, სტადიონი გაკეთდა. სტადიონი კეთდება მთა ღომაზე, რომელიც მალე გაიხსნება. სტადიონის მიმდებარედ ღონისძიებების გასამართი სივრცის მოწყობასაც ვაპირებთ. მთა ჩირუხსა და თაგინურზე «შუამთობის» ღონისძიებები რიგრიგობით იმართება. წელს ჯერი თაგინურზეა, მაგრამ ჩვენს მემთეურებს ჩირუხში ყურადღების გარეშე არ დავტოვებთ. მთა ღომაზე «შუამთობა» და «ჯვარობაც» აგვისტოს პირველ დეკადაში გაიმართება. «ჯვარობა» საღვთო დღესასწაულია. იგი სხალთელი და ბოლნელი მთავარეპისკოპოსების მეუფე სპირიდონისა და მეუფე ეფრემის ლოცვა-კურთხევით იმართება ჯვარის მინდორის ტერიტორიაზე. ამ წირვა-ლოცვასთან ერთად, საყოველთაო ნათლობაც იმართება.

- ერთხანს მთა ღომას ტყეებს ბრაკონიერები შეესივნენ. ახლა რა მდგომარეობაა?

- საქართველოს ტურისტული სააგენტოს ხელმძღვანელს პირველ რიგში რაც მოეწონა, ეს სოჭის, ნაძვისა და წიფლის კორომებია. მათი შენარჩუნება აწ განსვენებული ნოდარ აბუსელიძის, ახმედ ბერიძისა და ვეტერანი მეტყევის ბაირამალ ნაკაშიძის დამსახურებაა. ახლა მათ საქმეს ზურაბ ბერიძე აგრძელებს. ღომას ტყეებს უკვე წაბლანის მოსახლეობაც იცავს. მათი შენარჩუნება თითოეული შუახეველის ვალია.

- მთა ღომაზე ელექტროგაყვანილობაც მოსაწესრიგებელია.

- შიდა დაქსელვისთვის შარშან საკმაო თანხა იყო გამოყოფილი. 10-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზები წაბლანიდან საყენდრიამდე მისახედია. 50 წლის წინ დაყენებული ბოძები, თანაც ხის, ექსპლოატაციისთვის უვარგისია. როგორც შუახევის მუნიციპალიტეტის სხვა მთებში, აქაც ლითონის ბოძების დადგმას აპირებენ, რომ მომავალში კურორტს დენი შეუფერხებლად მიეწოდოს.

> ***„ჩირუხში მასობრივი ღონისძიებების მოსაწყობად გასართობი ცენტრი, სტადიონი გაკეთდა. სტადიონი კეთდება მთა ღომაზე, რომელიც მალე გაიხსნება. სტადიონის მიმდებარედ ღონისძიებების გასამართი სივრცის მოწყობასაც ვაპირებთ. მთა ჩირუხსა და თაგინურზე «შუამთობის» ღონისძიებები რიგრიგობით იმართება. წელს ჯერი თაგინურზეა, მაგრამ ჩვენს მემთეურებს ჩირუხში ყურადღების გარეშე არ დავტოვებთ. მთა ღომაზე «შუამთობა» და «ჯვარობაც» აგვისტოს პირველ დეკადაში გაიმართება***

ბიუჯეტმა ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია

შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე, სხვა საკითხებთან ერთად, მიმდინარე წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების შესახებაც იმსჯელეს

დეპუტატებსა და დამსწრე საზოგადოებას განახლებული ბიუჯეტის პარამეტრები შუახევის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის უფროსმა ანზორ ცეცხლაძემ გააცნო.

წარმოდგენილ საფინანსო დოკუმენტზე მოსაზრებები გამოთქვეს საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, დეპუტატებმა: ედნარ კეჟერაძემ, სოსლან ზოიძემ, თედო თავდგირიძემ, მერაბ დავითაძემ, ედუარდ გოგრაჭაძემ.

რესპუბლიკური ტრანსფერის ფარგლებში, მუნიციპალური ბიუჯეტი 2 723 000 ლარით გაიზარდა და ადგილობრივი ბიუჯეტი შეადგენს 22 043 000 ლარს, რაც ყველაზე მაღალი ნიშნულია შუახევის მუნიციპალიტეტის ისტორიაში.

დეპუტატებმა დადებითად შეაფასეს შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ზაზა დავითაძის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.

სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებულ კიდევ 6 საკითხზე იმსჯელეს და კენჭი უყარეს. ისინიც დადებითად გადაწყდა.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

სპექტაკლი საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაზე

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

30 ივლისს ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში ფოლკოპერის პრემიერა - „დაკარგული გზების სიზმარი“ გაიმართა

სპექტაკლში მონაწილეობდნენ მუსიკალური ცენტრის ახალგაზრდული მუსიკალური თეატრის სოლისტები და მსახიობები: თეა გელოვანი, პაატა ფაცია, ირაკლი გოგიტიძე, ირაკლი გვარჯალაძე, ანრი გუჩმანიძე, მარიამ ძნელაძე, ნინო კახიძე, მარიამ კახიძე, მარიანა ჩაუშბა, ნუკრი ბერიძე, მარი დევაძე, ქეთი ჯიჯავაძე და ნინო ხალვაში.

იდეის ავტორი და რეჟისორი ვლადისლავ ტროიცკია. ახალგაზრდული მუსიკალური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი თენგიზ შამილაძე, ვოკალის პედაგოგი და მთავარი ქორმაისტერი კი მანანა ჩაუშბა გახლავთ. მხატვრული განათება კახა გიგინეიშვილს ეკუთვნის, გახმოვანება - ვერა ქებულაძეს, ტექნიკური რეჟისორი კი ზვიად მურვანიძეა.

„დაკარგული გზების სიზმარი“ საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაზე, ადათწესებზე, ყოფაზე, წეს-ჩვეულებებზე გვიყვება. იგი ქართული მრავალხმიანი სიმღერების უძველესი ნიმუშებით გახმოვანებული თანამედროვე ექსპერიმენტია. აღსანიშნავია, რომ ფოლკოპერაში არ იყო გამოყენებული აუდიოჩანაწერი და ფონოგრამა. მუსიკალური თანხლება დასარტყამი, ჩასაბერი, სიმებიანი, კლავიშიანი ინსტრუმენტებით მიმდინარეობდა. როიალზე გუნდის ქორმაისტერი მანანა ჩაუშბა უკრავდა, რომელმაც ერთ-ერთი სიმღერა „ურმული“ შეასრულა. გიტარაზე, ჩონგურზე, დოლზე, ჭიბონსა და დასარტყამ ინსტრუმენტებზე კი თავად მსახიობები უკრავდნენ. გახმოვანება შიგადაშიგ ხდებოდა პატარა ქვების, ასევე, დრამის ჯოხების ერთმანეთზე დარტყმით, რაც ამ შეუდარებელ ანსამბლს კიდევ უფრო გამორჩეულს და მრავალფეროვანს ხდიდა.

სპექტაკლის დასასრულს კომენტარი ახალგაზრდული მუსიკალური თეატრის სოლისტებს ვთხოვეთ.

- სპექტაკლი ძალიან სპონტანურად დაიგეგმა. სტუმრად იყო ჩამოსული უკრაინელი რეჟსორი, რომელიც მსოფლიო მასშტაბით საუკეთესო თეატრებში დგამს სპექტაკლებს და ცნობილ მსახიობებთან ერთად მუშაობს. ჯამში ბათუმში დარჩენის 10-დღიანი ფანჯარა ჰქონდა და სწორედ ამ დროში ეს მონახაზი გაგვაკეთებინა. დანარჩენი ჩვენით, სპონტანურად მოვიფიქრეთ. ვნერვიულობდი, რომ ეს ყველაფერი 10 დღეში არ მოესწრებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მოვაბით თავი. ასე თუ ისე, კმაყოფილი ვარ, მაგრამ ბოლომდე არა. ასე მჩვევია, საკუთარი თავით არასდროს ვარ ბოლომდე კმაყოფილი. „დაკარგული გზების სიზმრის“ მთავარი შინაარსი თვითონ მაყურებელმა ინდივიდუალურად უნდა იპოვოს. ერთგვარი ინტრიგაა შიგნით - ვინ როგორ შინაარსს ხედავს ამ სპექტაკლში. ზოგადად, ასახულია ქართული რეალობა - ვინ ვართ ჩვენ... ყველას ინდივიდუალური გზა აქვს ამ ცხოვრებაში, ზოგი მიჰყვება თავის ოცნებას, ზოგი - ვერ. ვფიქრობ, ყველამ საკუთარი თავი უნდა იპოვოს ამ მუსიკალურ სპექტაკლში, - გვითხრა ირაკლი გოგიტიძემ.

- ეს სპექტაკლი ძალიან უჩვეულო იყო ჩვენთვის, რადგან საერთოდ, განსხვავებულ ჭრილში გვაქვს ხოლმე გადაწყვეტილი სპექტაკლები და კონცერტები. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა სხვა სტილში მოგვიწია შესრულება. ძალიან საინტერესო იყო ამ სპექტაკლზე მუშაობა. ასევე, ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო, მაყურებელი როგორ მიიღებდა ამ ექსპერიმენტულ დადგმას. მგონი, კარგად გავართვით თავი. ჩემთვის, სიტუაცია იმაზე გვიყვება, რომ ის გზა, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ, ქართველმა ხალხმა გამოიარა, დღეს ნელ-ნელა იკარგება. იკარგება ის ტრადიციები, ის სულისკვეთება და ვაჟკაცობა, რომელიც გვქონდა, გზები, რომლითაც საქართველოს შეეძლო ეცხოვრა და ვერ იცხოვრა, - გვითხრა ნინო კახიძემ.

ახალგაზრდული მუსიკალური თეატრის ერთ-ერთ სოლისტს პაატა ფაციას აქამდე შეხება არ ჰქონია დასარტყამ ინსტრუმენტებთან, თუმცა ამ 10 დღეში თავისუფლად შეისწავლა დოლსა და დრამზე დაკვრის ტექნიკა.

- ხელმძღვანელობამ გვითხრა, რომ ჩამოსული იყო უკრაინელი რეჟისორი, რომელიც ევროპაში და ამერიკაში საკმაოდ წარმატებულია. როგორც თავად რეჟისორმა გვითხრა, ერთ-ერთი ოპერის ავტორია, რომელიც ნიუიორკში დადგმული ოპერების ტოპ ათეულში შევიდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ძალიან კარგი შოუს ავტორია, ამიტომ ჩვენი რეპერტუარის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხელმძღვანელმა მოგვიყვანა და გავესაუბრეთ. პირველივე დღეს, როცა შევხვდით, რამდენიმე სიმღერა მოვასმენინეთ, რის შემდეგაც გვითხრა: არანაირი მუსიკა, არანაირი მინუსი და ფონოგრამა, მე გამომყევითო. 10 დღეში გავაკეთეთ ის, რაც მაყურებელმა იხილა. აქამდე წარმოდგენაც არ მქონდა, დასარტყამ ინსტრუმენტზე როგორ უნდა დამეკრა, მაგრამ რიტმის გრძნობა ყველა მომღერალშია და, რა თქმა უნდა, გამიმარტივდა. რეჟისორიც ძალიან გვეხმარებოდა. თითოეულ ნომერზე იდეურად მუშაობდა. გვეკითხებოდა: თქვენთან რას მღერიან შრომის დროს? ვეტყოდით - ამას და ამას... მოგვისმენდა, კარგია - იტყოდა და შემდეგ ერთმანეთში „აურევ-დაურევდა“. ერთ-ერთი სიმღერა, რომლითაც სპექტაკლი დაიხურა, სამი სიმღერის სინთეზია და ძალიან საინტერესო გამოვიდა. მუშაობის პროცესში, რადგან ქართული არ იცოდა, ყველა ვუთარგმნიდით ყველაფერს. იდეებს და აზრებს ვაწვდიდით, რა როგორ შეიძლებოდა გაკეთებულიყო. ასე ერთობლივი ძალებით გამოვიდა ის, რაც გამოვიდა. მგონი, კარგი იყო, - გვითხრა პაატა ფაციამ.

ე.წ. პაკლონზე უწყვეტი ტაშის ფონზე მომღერლებმა ბოლო ნომრის ნაწყვეტი განმეორებით შეასრულეს და მაყურებელს ცეკვა-თამაშით დაემშვიდობნენ.

რეპრესირებულები

1937-1938 წლებში ბათუმში დახვრეტილ რეპრესირებულთა სია

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ვაგრძელებთ ბათუმში 1937-38 წლებში დახვრეტილ რეპრესირებულთა სიის გამოქვეყნებას, რომელიც ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივთან თანამშრომლობით შეადგინა.

შეგახსენებთ, რომ სიას „აჭარის ა რ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა და მათ შთამომავალთა სოციალური დაცვის არასამთავრობო ორგანიზაცია „მემორიალის“ თხოვნით ვაქვეყნებთ, რათა რეპრესირებულთა შთამომავლები გამოეხმაურონ აღნიშნული „მემორიალის“ ხელმძღვანელ ზურაბ ზაქარიაძეს ყოველდღე, 18:00 საათიდან მობილურის ნომერზე - 595721416 იმ მიზნით, რომ ორგანიზებულად ჩატარდეს დნმ-ის ანალიზის აღება რეპრესირებულთა ოჯახის წევრებისაგან. სულ სიაში 1050 ადამიანია, რომელთა ვინაობას გაგრძელებებით, სრულად შემოგთავაზებთ გაზეთის შემდეგ ნომრებში.

დახვრეტის თარიღი 01/11/1937

358. ადაძე ვაშაყმაძე დაუდ ეფენდი რეჯების ძე
359. გათენაძე ისმაილ დურსუნის ძე
360. ბერიძე სულეიმან მერჯანის ძე
361. თავართქილაძე ეიუბ შაქირის ძე
362. ქარცივაძე ჰასან მუხერემის ძე
363. ირემაძე (მუთაველ ოღლი) თეარ ეიუბის ძე
364. გოგიტიძე აბდულა ჰუსეინის ძე
365. შავაძე იუნუს ეიუბის ძე
366. მგალობლიშვილი ირაკლი იოსების ძე
367. შუბალიძე ჯემალ კამილის ძე
368. კალანდარიშვილი ლევან ერდიშელის ძე
369. სკრომინსკი თომა ალექსის ძე
370. ბატურინი სერაპჰიმ ფიოდორის ძე
371. რუხაძე გიორგი პეტრეს ძე
372. ბოლქვაძე აბესალომ პავლეს ძე
373. მჟავანაძე იბრაგიმ ისმაილის ძე
374. შავიშვილი სულეიმან მამუდის ძე
375. ბექაია ვალერიან ეფიმის ძე
376. თევზაძე გრიგოლ ივანეს ძე
377. ჩხარტიშვილი პორფირე გიორგის ძე
378. თავართქილაძე სევერიან გლახუნას ძე
379. ჩხარტიშვილი პავლე გიორგის ძე
380. ანდღულაძე მელიტონ ალექსადრეს ძე
381. გურგენიძე დიმიტრი ირაკლის ძე
382. კუხალეიშვილი გიორგი ივანეს ძე (ეს პიროვნება არის გადასამოწმებელი)
383. კუკულაძე შამსონ სპირიდონის ძე
384. დანელია პორფირე ნესტორის ძე

დახვრეტის თარიღი - 15/11/1937

385. პრონინი მიხაილ სტეფანეს ძე
386. თურმანიძე ასლან ალის ძე
387. გრუშკოვსკი პეტრე ავგუსტინის ძე
388. ახვლედიანი ოსმან მამედის ძე
389. ნაცვლიშვილი შალვა ანდრევიჩის ძე
390. ბარამიძე ევგენი ნოევიჩის ძე
391. ანდრუსი ვლადიმერ ევგენის ძე
392. სელიმხანოვი ნარიმან ახმედოვის ძე
393. მანაგაძე სერგი ანტონოვის ძე
394. აგამჯანოვი გერასიმე ივანეს ძე
395. ნუცუბიძე გიორგი იოსების ძე
396. ყურშუბაძე მამუდა სულეიმანის ძე
397. მოწყობილი ოსმანი ხულუსოვის ძე
398. გოგენია აკაკი ვასილის ძე
399. იოფე მოსე დავითის ძე
400. ზგურა ლეონიდ პეტრეს ძე
401. საბაშვილი ვლადიმერ პანტელეიმონის ძე
402. ძნელაძე დავით მოსეს ძე
403. ასაცბა მეჯიდ ალის ძე
404. იმნაიშვილი მურად ალის ძე
405. იმნაიშვილი რეჯებ კიზეტის ძე
406. იმნაიშვილი ოსმან ომერის ძე
407. გოგოძე გიორგი ალექსანდრეს ძე
408. ცხონდია მამია მიხეილის ძე
409. კაკაბაძე ნიკოლოზ იაკობის ძე
410. კონცელიძე ომან ალის ძე
411. ქათამაძე ილია დურსუნის ძე
412. ლორთქიფანიძე სელმან კადირის ძე
413. ინწკირველი გრიგოლ დავითის ძე
414. სიხარულიძე შერმადინ ნიკოლოზის ძე
415. ხორომანსკი გაბრიელ ივანეს ძე
416. ბონდარევი ვლადიმერ ნიკოლოზის ძე
417. გრძელიშვილი იაკობ ალექსანდრეს ძე
418. მახარაძე იუსუფ მემედის ძე
419. ლორთქიფანიძე შევქეთ იბრაგიმის ძე
420. დიმიტრაძე ემინ ახმედ აკიპოვის ძე
421. სურმანიძე ჰუსნი მუსტაფას ძე
422. ზაქარიაძე სულეიმან ყედემის ძე

დახვრეტის თარიღი - 18/11/1937

423. აფხაზავა მიხეილ ივანეს ძე
424. ცეცხლაძე იოსებ ანთიმოსის ძე
425. ასაცბა ჰუსეინ ალის ძე

დახვრეტის თარიღი - 07/12/1937

426. მარანტიდი ევკლიდი დიმიტრის ძე
427. ყურშუბაძე იუსუფ მამედის ძე
428. ცეცხლაძე რამიზ ოსმანის ძე
429. ჭყონია მემედ აღა კურშუმის ძე
430. ნუსი ვალენტინე ფილიპეს ძე
431. ჟღენტი გრიგოლ დომენტის ძე
432. გოპფაუფი პეტრე პეტრეს ძე
433. ვასაძე შულეიმან ახმედის ძე
434. ნანეიშვილი იოსებ თეოფანეს ძე
435. შიშლო (საბაშვილი) რაისა ბორისის ასული
436. გვათუა ვარლამ ალექსის ძე
437. გერცფრიდი ნიკოდიმე ევსტაფეს ძე
438. უსტალიშვილი აჰმედ მამედის ძე
439. ბარიშევი მიხაილ ვასილის ძე
440. რობაქიძე ალექსანდრე ბისარიონის ძე
441. გვარეკი ლუკა მარტინის ძე
442. ვერულიძე ჯემალ ხუსეინის ძე
443. სიხარულიძე რაჟდენ ალმასხანის ძე
444. კლიუხი ვალენტინე ფილიპეს ძე
445. ბენცი გიორგი გერონიმის ძე
446. ხაფავა გიორგი ალექსანდრეს ძე
447. კალანდარიშვილი პლატონ ლევანის ძე
448. ქათამაძე იაკობ გიორგის ძე
449. ბასილაშვილი მეტია (შალვა) დიომიდეს ძე
450. დუმბაძე რაფაილ სისოს ძე
451. დოლიძე ტარას მერაბის ძე
452. ემირიძე იუსუფ არიფის ძე
453. წითაძე დავით თეოფილეს ძე
454. კვიცინსკი ბორისი სტანისლავის ძე
455. მარკოვსკი ვლადისლავ ზაქარიას ძე
456. ჩალ ოღლი მემედ ისმაილის ძე
457. ხახუთ ოღლი ომერ ალის ძე

გაგრძელება. დასაწყისი იხ. გაზეთი «აჭარა» №№80, 81.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გასტროლი - რუმინეთში

რუმინეთში საერთაშორისო ფესტივალი „კარპატი-2023“ ჩატარდა, რომელშიც საქართველოდან ქედის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბეთლემი“ მონაწილეობდა

ანსამბლის წევრებთან ერთად, რუმინეთში იყვნენ კულტურის ცენტრის დირექტორი ჯამბულ სურმანიძე (დელეგაციის ხელმძღვანელი) და ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე რომან დავითაძე.

„აჭარა“ ***ჯამბულ სურმანიძეს*** *ესაუბრა.*

- ბატონო ჯამბულ, რის საფუძველზე მიიწვიეს ფესტივალზე „ბეთლემი“?

- ანსამბლი „ბეთლემი“ 2005 წელს შეიქმნა ნოდარ კახიძისა და იმედა ფარტენაძის ხელმძღვანელობით (ქორეოგრაფი - მზია ტუნაძე) და დღემდე აქტიურად მონაწილეობს როგორც ადგილობრივ, ასევე რეგიონულ და საერთაშორისო ფესტივალებში. 2012 წელს წარმატებით გაიარა კულტურის სამინისტროს ორგანიზებული სერტიფიცირება, არის არაერთი პრიზისა და ჯილდოს მფლობელი, არაერთხელ იმყოფებოდა საგასტროლოდ თურქეთში, ბაქოში, უკრაინაში. „ბეთლემი“ საქართველოს ფოლკლორის 2022 წლის ეროვნული ფესტივალის ერთ-ერთი გამარჯვებული ანსამბლია. იმავე წელს წარმატებით გამოვიდა კაპადოკიაში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე. ამტომაც გასაკვირი არ არის მისი მიწვევა „კარპატი“-ზე.

- მოკლედ გვიამბეთ ამ ფესტივალის შესახებ...

- ფესტივალი „კარპატი“ 1975 წლის აგვისტოში დაარსდა რუმინეთში. თავდაპირველად მასში ადგილობრივი ანსამბლები მონაწილეობდნენ, 1990 წლიდან კი საერთაშორისო სტატუსი მიიღო და ქორეოგრაფიულ ჯგუფებს მთელი მსოფლიოდან იწვევს. რუმინეთის ეროვნულ და რეგიონულ ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობამ შესაძლებელი გახადა ფესტივალის ჩატარების უწყვეტობა. წლევანდელი რიგით 37-ე იყო და მასში მონაწილეობდნენ საქართველო, მაკედონია, ბულგარეთი, სერბეთი, თურქეთი და 7 ჯგუფი - რუმინეთიდან. ფესტივალი იმართება არგეშის რეგიონში.

წელს ორგანიზატორებმა ფესტივალისთვის 5 ადგილი აირჩიეს - გაიხსნა არგეშის დედაქალაქ პიტეტში, კონცერტები კი ჩატარდა მიოვენში, ტოპოლოვეიში, კოსტესტში. ბოლო ქალაქი კურტეა დე არგეში იყო - რუმინეთის პირველი ოფიციალური დედაქალაქი.

- რა რეპერტუარი შესთავაზეთ მაყურებელს?

- „ბეთლემს“ რეპერტუარში არაერთი ქართული ხალხური ცეკვა აქვს, მაგრამ ამჯერად ფესტივალზე წარადგინა ცეკვები „განდაგანა“, „ფარცა-ფერხული“, „აფხაზური“, „მთიულური“. საღამოობით ფესტივალის მონაწილე სხვა ანსამბლებსა და მასპინძლებს ვორქშოპებსა და მასტერკლასებს ვუტარებდით ქართულ ცეკვებში, ვამუშავებინებდით ილეთებს, ვუყვებოდით ცეკვებთან დაკავშირებულ ისტორიებს, თავადაც მოვსინჯეთ რუმინული ცეკვების ილეთების შესწავლა.

- მასპინძელთა შეფასებები როგორი იყო?

- ქართული ხალხური ცეკვების უპირატესობაა მისი ცეცხლოვანი რიტმები, რომელიც უცხოელთა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. ანსამბლის ყოველი გამოსვლის შემდეგ, პუბლიკა აღფრთოვანებული რჩებოდა. „საქართველო - ბეთლემი“ ამ სიტყვების გამოცხადების დროს მთელი დარბაზი ფეხზე იდგა. ჩვენი ცეკვები ყოველთვის ბოლოში გადაჰქონდათ, გვეუბნებოდნენ: იდრე რომ გამოგიყვანოთ, მაყურებელი დარბაზს დატოვებსო. მეტსახელად „აკრობატებიც“ კი შეგვარქვეს.

- მარტო მხატვრული პროგრამით არ იყავით დაკავებული...

- ფესტივალი, როგორც აღვნიშნე, ერთმანეთისგან 40-50 კილომეტრით დაშორებულ ქალაქებში ტარდებოდა. თითოეულში იმართებოდა საფესტივალო მარში, სადაც მოცეკვავეები რამდენიმე ილეთს ასრულებდნენ. შემდეგ ქალაქის ხელმძღვანელებსა და კულტურის წარმომადგენლებს ვხდებოდით, ვცვლიდით საჩუქრებს, შემდეგ კი კონცერტი იწყებოდა. ასე რომ, დრო მხოლოდ საღამოობით გვქონდა და იმასაც მასტერკლასისთვის ვიყენებდით.

- საფესტივალო ქალაქის ხელმძღვანელები, ფესტივალის ორგანიზატორები რამდენად იცნობდნენ საქართველოსა და ქართულ ხელოვნებას?

- ამ კითხვის პასუხად წარმოგიდგენთ ჩვენი ერთ-ერთი გიდის დიანა თანასეს წერილს, რომელიც მან 25 ივლისს გადმოგვიგზავნა და ვფიქრობ, ამ კითხვას ამომწურავ პასუხს გასცემს: „ნება მომეცით, გითხრათ მადლობა ორგანიზატორებს, რომ მომეცით საშუალება, ვიყო მეგზური. თავიდან სხვა ჯგუფზე უნიგე ქართული ცეკვის მშვენიერების შესახებ, რომელშიც ქალი და მამაკაცი ერთმანეთს არ ეხებიან. ისინი ჰარმონიულად ცურავდნენ ერთმანეთის გვერდით - პატივისცემით. გავიგე, რომ გოგოების ხელებს ზღვის ტალღების მადლი აქვს. ტრადიციული ინსტრუმენტების თანხლებით მუსიკა დიდ როლს ასრულებს, რაც მომენტებს ნამდვილად ჯადოსნურს ხდის. გავიგე, რომ დედობრივი ზრუნვა საჭიროა ჯგუფში წონასწორობის შესანარჩუნებლად, სიკეთე კი საერთაშორისო ენაა. საღამოს ჯგუფის ერთმა წევრმა გააოცა, რომ სახლში დაბრუნებულს ისტების ჯგუფზე. მქონდა პატივი, დრო გამეტარებინა ანსამბლ „ბეთლემის“ და ბათუმის დელეგაციის წევრებთან ერთად. ბევრი რამ გავიგე, ბევრი ახალი ვიცოდი. ბევრ ადამიანს ვაღიარებ, რომ გამოსამშვიდობებელი ჩახუტებისას თითოეულ მათგანში ჩემი სულის ნატეხი დარჩა. ერთადერთი აზრი, რომელმაც ცრემლები შემიჩერა, იყო ის, რომ ისევ შევხვდებით. მომენატრება ჩემი საქართველოს ჯგუფი, სადაც თითოეული წევრი ხელოვნების ნიმუშია“.

- დელეგაციის ხელმძღვანელებს გამორჩეულად ვისთან გამართული შეხვედრა დაგრჩათ მეხსიერებაში?

- ფესტივალის ფარგლებში არაერთ დელეგაციასა და ცნობილ ადამიანებს შევხვდით, მაგრამ განსაკუთრებული იყო არეგაშის საოლქო საბჭოს პრეზიდენტ, ბატონ ლონ მინზინასთან, აღმასრულებელ დირექტორ როქსანა სტოენესცუსა და ახალდაბადებული ბიჭი ელოდა. შეუძლებელია არ განიცადო ასეთი მომენტის სიხარული და ემოცია. ამ კვირაში ჩემი გული სავსე იყო. ვაღიარებ, რომ გამოსამშვიდობებელი ჩახუტებისას თითოეულ მათგანში ჩემი სულის ნატეხი დარჩა. ერთადერთი აზრი, რომელმაც ცრემლები შემიჩერა, იყო ის, რომ ისევ შევხვდებით. მომენატრება ჩემი საქართველოს ჯგუფი, სადაც თითოეული წევრი ხელოვნების ნიმუშია“.

> ***„ვაღიარებ, რომ გამოსამშვიდობებელი ჩახუტებისას თითოეულ მათგანში ჩემი სულის ნატეხი დარჩა. ერთადერთი აზრი, რომელმაც ცრემლები შემიჩერა, იყო ის, რომ ისევ შევხვდებით. მომენატრება ჩემი საქართველოს ჯგუფი, სადაც თითოეული წევრი ხელოვნების ნიმუშია***

- საქართველოში რუმინელებს როდის უნდა ველოდოთ?

- სავარაუდოდ, სექტემბერ-ოქტომბერში. ისე, თუ ჩვენაც რაიმე სახის ფესტივალი დავაპირეთ, რა თქმა უნდა, რუმინელებსაც მოვიწვევთ.

- „ბეთლემისთვის“ უცხოეთში გასვლა პირველი არ იყო. უახლოეს პერიოდში რომელი ქვეყნის მაყურებლის წინაშე წარსდგებით?

- ამას მომავალი გვიჩვენებს, თუმცა შეგვიძლია გითხრათ, რომ ჩვენი გამოსვლით აღფრთოვანებულმა ბულგარელებმა გაისად თავიანთ ფესტივალზე მიგვიწვიეს.

- ანსამბლის რომელიმე წევრმა განსაკუთრებით ხომ არ მოხიბლა მაყურებელი?

- მგონი, ანსამბლის ყველა მონაწილე მათთვის განსაკუთრებული იყო, რაც ჩვენი გოგონებისა და ბიჭების საშემსრულებლო პროფესიონალიზმმა განაპირობა, რისთვისაც კიდევ ერთხელ ვუხდი მადლობას მათ როგორც დელეგაციის ხელმძღვანელი და როგორც კულტურის ცენტრის დირექტორი.

- „ბეთლემის“ რეპერტუარში რუმინული ფოლკლორი თუ დაიჭერს ადგილს?

- აუცილებლად. მასპინძლებმა სული და გული გამოგვაყოლეს, წინასწარ მიგვიწვიეს 38-ე ფესტივალზეც და ვფიქრობ, ეს საჭიროცაა. ისე, ჩვენი ნასწავლები ცეკვები გამოსამშვიდობებელ ბანკეტზე რუმინელებმა შეძლებისდაგვარად შეასრულეს. დაბოლოს უნდა გითხრათ, რომ ამ ფესტივალზე ანსამბლი „ბეთლემი“ კომპანია Batumi-black Sea-ს ორგანიზებით გაემგზავრა. რისთვისაც მადლობას ვუხდით მის დირექტორს ბატონ ანზორ დევაძეს, ასევე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ქედის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს მხარდაჭერისთვის.

სპორტული მოედანი - ნაღვარევში

საჯარო სკოლის კარგი შენობა, „სოფლის სახლი“ მდინარე ნაღვარევიწყალზე, ჭინჭაოს ღელეზე ახლად გაკეთებული ხიდები - ეს შუახევის მუნიციპალიტეტის შორეული სოფელ ნაღვარევისთვის უახლოესი წლების შენაძენია. ამ დღეებში ჩამონათვალს ღია სპორტული მოედანი დაემატა, რომელიც კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნის სტანდარტებს აკმაყოფილებს.



ნაღვარეველებს დასრულებული პროექტი შუახევის მერმა ომარ ტაკიძემ, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე მალხაზ ტაკიძემ, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე მურად ქათამაძემ მიულოცეს და სტადიონის ექსპლუატაციაში შესვლა საზეიმოდ აღნიშნეს.

მოედანი ლითონის კონსტრუქციითაა შემოღობილი, დაგებულია ხელოვნური საფარი. საჭიროების შემთხვევაში, სტადიონი მინი-ფეხბურთისთვისაც გამოიყენება.

სპორტული პროექტისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 45 ათას ლარამდე გამოიყო. სამუშაოები შპს „გიკუ 2010“-მა შეასრულა.

- წელს ადგილობრივი ბიუჯეტის თანხებით სპორტული მოედნები გაკეთდება ახალდაბის, პაპოშვილების, მაწყვალთის, ნაღვარევის, მთებ ჩირუხისა და ღომას ახალგაზრდებისთვის, - გვითხრა ომარ ტაკიძემ.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

უკრაინა

უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი ივანო-ფრანკოვოში საავადმყოფოს ეწვია, სადაც სამხედროები მკურნალობენ. „მინდა მადლობა გადავუხადო თითოეულ ჩვენს ჯარისკაცს გმირობისთვის. მადლობა ყველა უკრაინელს ჩვენი სახელმწიფოს დაცვისთვის. აუცილებლად გავიმარჯვებთ! სწრაფ გამოჯანმრთელებას გისურვებთ!“, - წერს უკრაინის პრეზიდენტი „ფეისბუქზე“. ზელენსკიმ, ასევე, გამართა ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონგრესი, სადაც ზამთრის სეზონისთვის მზადება და ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს. უკრაინის პრეზიდენტის თქმით, ადგილობრივი და სახელმწიფო ბიუჯეტები თავდაცვას უნდა შეესაბამებოდეს.

* * *

უნდა გვესმოდეს, რომ რუსები სამხედრო გზით უნდა განიდევნონ ოკუპირებული ტერიტორიებიდან და პუტინის შემოჭრა ტოტალურ ფიასკოდ უნდა იქცეს. ნებისმიერი სხვა პოლიტიკური შედეგი გამოიწვევს გლობალური უსაფრთხოების წესრიგის დაშლას და სისხლიანი კანიბალების ტრიუმფს მთელ მსოფლიოში, - ასე ეხმაურება უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მრჩეველი მიხაილო პოდოლიაკი იტალიის თავდაცვის მინისტრ გვიდო კროზეტოს განცხადებას, რომ უკრაინაში ომის დასრულება შესაძლოა „პოლიტიკურმა არჩევანმა“ განსაზღვროს. „იტალიის თავდაცვის მინისტრი აბსოლუტურად მართალია, როცა ამბობს, რომ ფრონტზე განვითარებული მოვლენების ანალიზი აჩვენებს „პოლიტიკური გადაწყვეტილების“ აუცილებლობას. ეს გადაწყვეტილება ძალიან მარტივი და ცნობილია: გადაწყვეტილება უკრაინისთვის ავიაციის, მათ შორის F-16 თვითმფრინავების მიწოდების განბლოკვის შესახებ; გადაწყვეტილება შორი მანძილის რაკეტების გადაცემის განბლოკვის შესახებ; გადაწყვეტილება თანამედროვე რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვისა და საჰაერო თავდაცვის სისტემების მიწოდების გაზრდის შესახებ. ყველა ეს გადაწყვეტილება ცნობილია, მაგრამ მთავარია მათი დროულობა“, - წერს პოდოლიაკი „ტვიტერზე“. ცნობისთვის: იტალიის თავდაცვის მინისტრმა Corriere della Sera-სთან ინტერვიუში განაცხადა, რომ სიტუაცია ჩიხში შევიდა. „უკრაინის კონტრშეტევა, როგორც ზოგიერთი ჩვენგანი ელოდა, რამდენიმე სირთულეს წააწყდა. რუსული სანგრები ართულებს შეტევას, ამიტომ კონფლიქტის დასრულება შესაძლოა, პოლიტიკურმა არჩევანმა განსაზღვროს“, - აღნიშნა გვიდო კროზეტომ.

* * *

უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა, რომ ომი რუსეთის ტერიტორიაზე ბრუნდება. „თანდათან ომი ბრუნდება რუსეთის ტერიტორიაზე - მის სიმბოლურ ცენტრებსა და სამხედრო ბაზებზე და ეს გარდაუვალი, ბუნებრივი და აბსოლუტურად სამართლიანი პროცესია“, - აღნიშნა უკრაინის პრეზიდენტმა. მისი თქმით, „უკრაინა ძლიერდება“, ამასთან, ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებით, ქვეყანა ზამთარში ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურაზე ახალი თავდასხმებისთვის უნდა მოემზადოს. „მაგრამ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ისევე, როგორც გასულ წელს, რუს ტერორისტებს კვლავ შეუძლიათ თავდასხმა ჩვენს ენერგეტიკულ სექტორსა და კრიტიკულ ობიექტებზე ზამთარში“, - აღნიშნა ზელენსკიმ და განაცხადა, რომ მიმდინარეობს მზადება „ყველა შესაძლო სცენარისთვის“.

* * *

უკრაინის მთავრობამ მოახერხა იარაღისა და აღჭურვილობის შემქმნელი სპეციალისტებისა და მწარმოებლებისთვის პროცედურების გამარტივება, რამაც დრონების წარმოებაში ნამდვილი ბუმი გამოიწვია, - ამის შესახებ უკრაინის თავდაცვის მინისტრმა ოლექსი რეზნიკოვმა განაცხადა. „უკრაინაში დრონების წარმოების ნამდვილი ბუმია. ჩვენი პოლიტიკის წყალობით, უკრაინას შეუძლია, დამოუკიდებლად უზრუნველყოს ჯავშანი, ჩაფხუტი, ფორმა, ფეხსაცმელი და ა.შ.“, - აღნიშნა რეზნიკოვმა. უკრაინის თავდაცვის მინისტრის თქმით, გასულ წელს მინისტრთა კაბინეტმა მხარი დაუჭირა სამხედრო ტექნიკის მწარმოებლებისთვის პროცედურების გამარტივების ინიციატივას. გადაწყვეტილების თანახმად, პროდუქციის ექსპლუატაციაში გაშვების პროცედურას რამდენიმე კვირა სჭირდება, მანამდე კი ეს პროცესი, შესაძლოა, წლების განმავლობაში გაგრძელებულიყო.

* * *

უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის „მშვიდობის ფორმულის“ განხორციელების თაობაზე სახელმწიფოთა ლიდერების მრჩეველთა შემდეგი შეხვედრა მალე საუდის არაბეთში გაიმართება, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ანდრეი ერმაკმა განაცხადა. მისი თქმით, „მშვიდობის ფორმულის“ განსახორციელებლად უკრაინული მხარე იყენებს სამფაზიან სტრუქტურას. პირველი ეტაპი არის შეხვედრები უკრაინაში აკრედიტებულ ელჩებთან, რომლებიც ეძღვნება ფორმულის თითოეული პუნქტის დეტალურ განხილვას. მეორე ეტაპის ფარგლებში უკრაინა ორგანიზებას უწევს შეხვედრებს, რომლებშიც მონაწილეობენ სახელმწიფოთა ლიდერების მრჩეველები ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, რათა მოიძიონ ოპტიმალური ფორმულირებები და მექანიზმები უკრაინის სამშვიდობო გეგმის განხორციელებისთვის. „ჩვენ პირველი ასეთი შეხვედრა ჩვენს დანიელ კოლეგებთან ერთად მოვაწყვეთ. ის კოპენჰაგენში ივნისში შედგა. მომდევნო შეხვედრა მალე გაიმართება და მას საუდის არაბეთის ქალაქი უმასპინძლებს. მადლობას ვუხდით ორივე სამეფოს ლიდერობისთვის და უკრაინის ინიციატივების მტკიცე მხარდაჭერისთვის“, - აღნიშნა ერმაკმა. მისი განმარტებით, „მშვიდობის ფორმულაზე“ შეთანხმების მიღწევის მესამე ეტაპი იქნება გლობალური სამიტი სახელმწიფოთა ლიდერების დონეზე, რომელიც შესაძლოა, წლის ბოლომდე ჩატარდეს. შეგახსენებთ, მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ საუდის არაბეთი 5-6 აგვისტოს უკრაინაში ომის დასრულების საკითხებთან დაკავშირებით მეორე შეხვედრას უმასპინძლებს, რომელზეც 30 ქვეყნის წარმომადგენელია მოწვეული.

* * *

რუსებმა ხარკოვს S-300 ტიპის რაკეტებით ბელგოროდის ოლქის ტერიტორიიდან დაარტყეს, - ინფორმაციას უკრაინული მედია ხარკოვის საოლქო პროკურატურის პრესმდივან დიმიტრი ჩუბენკოზე დაყრდნობით ავრცელებს. „რუსმა ოკუპანტებმა ბელგოროდის ოლქის ტერიტორიიდან ჩვენს რეგიონში S-300 რაკეტები გაუშვეს“, - აცხადებს ჩუბენკო. მისი თქმით, ერთ-ერთი რაკეტა ნოვობავარსკის რაიონის ტერიტორიაზე, კომერციული საწარმოს საწყობს მოხვდა, რის შედეგადაც ერთი ადამიანი დაშავდა. ასევე, დარტყმის შედეგად 200 კვმ ფართობზე ხანძარი გაჩნდა. გარდა ამისა, კიდევ ერთი რაკეტა სოფელ ველიკი ბურლუკში კერძო სახლის ტერიტორიაზე დაეცა. თავდასხმის შედეგად არავინ დაღუპულა ან დაშავებულა.

მოამზადა
ნაირა შუტკარაძემ

„2024 წლის არჩევნები ჩვენი ქვეყნისთვის იქნება არა მხოლოდ ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან დაახლოების, არამედ დემოკრატიულობის ტესტიც“

მე-3 გვერდიდან

უნდა იქმნებოდეს საჯარო ინტერესებზე მორგებული იდეებით, რომლის მიზანიც არსებული ხელისუფლების უკეთესობისკენ შეცვლაა, ხოლო იქ, სადაც პარტია კონკრეტული პირის/ების ინტერესების რეალიზებას თუ მფარველობას ისახავს მიზნად, მანძილი ამომრჩეველსა და საარჩევნო ყუთს შორის იმაზე დიდი იქნება, ვიდრე მანამდე იყო...

- **ცხადია, უმნიშვნელოვანესი საკითხია 12 ევროპული რეკომენდაციის შესრულება, ხელისუფლება ამ მხრივ პოზიტიურ განცხადებას ავრცელებს, ოპოზიციას კი ეჭვი შეაქვს და მიზეზად ხელისუფლების ანტიდემოკრატიულ მმართველობას ასახელებს...**

- სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში ბევრი ინტერპრეტაცია, მანიპულაცია თუ მითქმა-მოთქმა არსებობს 12 რეკომენდაციის ირგვლივ და მინდა, ძალიან მარტივად დავანახო ჩვენს მკითხველს ის პროცესები, რაც ამ საკითხის ირგვლივ მიმდინარეობს. 12 რეკომენდაცია გაცემულია ევროკომისიის მიერ. ის ყოველი გაფართოების დროს გასცემს შესაბამის დამახასიათებელ რეკომენდაციებს იმ სახელმწიფოებისთვის, რომლებსაც სურვილი აქვთ, გახდნენ ევროკავშირის წევრები. ეს არის მკაცრად დადგენილი, წინასწარ გაწერილი და შესაბამისი რეგულაციების მქონე, სავალდებულო რეკომენდაციათა ჯაჭვი, რომლის შეფასების კრიტერიუმები და ქვეკრიტერიუმებიც დადგენილია ევროკომისიის მიერ. წარმოიდგინეთ, ჩვენი ქვეყნის ეროვნული ნაკრები თამაშობს ევროპის ჩემპიონატზე, მსაჯების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს უგულებელყოფს და ხშირ შემთხვევაში მოთამაშეები კარნახობდნენ მსაჯებს, რაა ჯარიმა და რა - არა. დღეს იგივე ხდება აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით. ევროკომისია ამბობს, საქართველომ 12 რეკომენდაციიდან სრულად შეასრულა 3 რეკომენდაცია, რაღაც ნაწილზე მუშაობა მიდის, თუმცა არ არის სრულად შესრულებული, ხოლო სხვა ნაწილში საერთოდ, არ არის პროგრესი. ამ დროს ოფიციალური საქართველო ამბობს, რომ ჩვენ 12 რეკომენდაციიდან თითქმის ყველა შევასრულეთ და მხოლოდ დეპოლარიზაციის ნაწილში გვაქვს სამუშაო, თუმცა ესეც ოპოზიციის ბრალია. რა გამოდის? ვმონაწილეობთ გამოცდაში, სადაც შემფასებელს და საგამოცდო საკითხის შემდგენელს ვკარნახობთ, რომელი პასუხია სწორი და რომელი - არა?! თუ გვინდა კანდიდატის სტატუსი, უნდა ვითამაშოთ იმ წესებით, რომლებიც 12 რეკომენდაციის სრულად შესრულებაში დაგვეხმარება და ამ თამაშის წესების შესრულება რაზეც არის დამოკიდებული, ამაზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

- **საქართველოს პრეზიდენტმა გვარამია შეიწყალა. მმართველი პარტიის წევრებმა განაცხადეს, რომ თუ პრეზიდენტი წითელ ხაზებს გადაკვეთს, არაა გამორიცხული მისი იმპიჩმენტი...**

- თუ მმართველი პარტიის წევრები წითელი ხაზების გადაკვეთაში მესამე პრეზიდენტის შეწყალებას გულისხმობდნენ, ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ პროცესებს. საზოგადოებას კარგად ახსოვს მსგავსი განცხადებები გვარამიას შეწყალებამდე, თუმცა მათ არაფერი მოჰყოლია. ამას თავისი ლოგიკური ახსნაც აქვს. რაც შეეხება იმპიჩმენტს, კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენების გამო პრეზიდენტის იმპიჩმენტის დაწყება აბსურდია და, თანაც, მას სჭირდება, სულ მცირე, არსებული საპარლამენტო შემადგენლობის 2/3-ის მხარდაჭერა, რისი შეგროვებაც „ქართული ოცნების“ საპარლამენტო ფრაქციას, მაღალი ალბათობით, გაუჭირდება.

- **კვლავ არჩევნებს დავუბრუნდეთ - ცივილიზებული საარჩევნო გარემოს შექმნა, ძირითადად, ვისზეა დამოკიდებული და ამ მხრივ ხელისუფლებამ რა უნდა მოიმოქმედოს?**

- საარჩევნო გარემოს ცივილიზებულობაზე მეტყველებს, თუ რამდენად თავისუფალ, კონკურენტულ, გამჭვირვალე ან შანტაჟისა თუ მოსყიდვის გარემოში გვიწევს არჩევნების ჩატარება, ამ პირობების შექმნაში კი სწორედ გადამწყვეტ როლს თამაშობს ხელისუფლება, თუმცა არჩევნებში ჩართულ ყველა მხარეს ეკისრება თავისი წილი პასუხისმგებლობა. ნებისმიერ მოქმედებას გარკვეული აგრესიული ჯგუფების მხრიდან პარტიების საარჩევნო კამპანიის ხელის შესაშლელად უშუალოდ საარჩევნო პერიოდში სხვადასხვა ძალადობრივ ქმედებას, ამომრჩევლის დაშინებას თუ მოსყიდვის მცდელობას უნდა მოჰყვეს ამ ფაქტების გამოვლენა-იდენტიფიცირება და აღკვეთა.

- **დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია საქართველოში პრიმაკოვის ფონდის წარმომადგენლის განცხადებამ, რომ საქართველოში უნდა შეიქმნას რუსულ-ქართული უნივერსიტეტი...**

- პრიმაკოვის ეს განცხადება, ქვეყანაში შექმნილ ბოლოდროინდელ მოვლენებს თუ გადავხედავთ, ლოგიკურიც იყო. რუსეთის ჰიბრიდული ომი, სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში წარმატებით მიმდინარეობს და ამიტომაც რუსების სამიზნე ისეთი სენსიტიური და მნიშვნელოვანი საკითხებია, როგორიცაა კულტურა, განათლება, ახალგაზრდები და სხვა, თუმცა, მიუხედავად რუსეთის განზრახვისა, მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, თუ როგორი წინააღმდეგობით ხვდება ამას ქართული საზოგადოების უდიდესი ნაწილი, რაც, ვფიქრობ, ერთ-ერთი მთავარი იარაღია რუსეთის ჰიბრიდულ ომთან გასამკლავებლად. ქვეყანაში, სადაც სუვერენული ტერიტორიის 20% რუსეთის მიერ არის ოკუპირებული, ქვეყანაში სადაც მცოცავი ოკუპაცია ერთი დღითაც არ შეჩერებულა და მოსახლეობის გატაცება ჩვეულ მოვლენად იქცა, როცა სრულიად ცივილიზებული სამყარო ცდილობს, წინ აღუდგეს რუსეთის ბრუტალურ ომს უკრაინაში, ხოლო შენს ქვეყანაში აგრესორი ქვეყნის მოქალაქე, პრიმაკოვის ფონდის წარმომადგენელი გვესაუბრება რუსულ-ქართული უნივერსიტეტის შექმნაზე, ეს პარადოქსია და ასეთ „წინადადებაზე“ დათანხმება ეროვნული ინტერესების ღალატია. საინტერესოა, ვინ და რა უნდა ასწავლონ ამ უნივერსიტეტში: საერთაშორისო სამართლის პრინციპები? ადამიანის უფლებები? კონსტიტუციონალიზმი?

- **უდავოა, რომ საქართველოში მომავალ საპარლამენტო არჩევნებს დასავლეთი გამადიდებელი შუშით დააკვირდება. იქნება თუ არა ეს არჩევნები ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან დაახლოების ტესტი?**

- 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები ჩვენი ქვეყნისთვის იქნება არა მხოლოდ ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან დაახლოების, არამედ დემოკრატიულობის ტესტიც. მიმდინარე პროცესები ცხადყოფს, რომ მოახლოებული საარჩევნო დებატების ძირითადი საკითხი იქნება ქვეყნის საგარეო კურსი და, მაღალი ალბათობით, პოლიტიკური პარტიებიც ძირითად ფსონს ამ მიმართულებით გადაანაწილებენ.

- **რუსეთ-უკრაინის ომში, ამ უკანასკნელის გამარჯვების შემთხვევაში ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციის რა შანსი გვაქვს?**

- ცხადზე უცხადესია, რომ უკრაინაში შეჭრით რუსეთმა თავისი უძლეველობის მითი თავისივე ხელით დაამსხვრია. რუსეთი გამოფიტული და დასუსტებულია, დრო მხოლოდ და მხოლოდ მის წინააღმდეგ მოქმედებს. თუ რუსეთი დამარცხდა, ეს ავტომატურად შეასუსტებს ჰიბრიდულ ომს ჩვენს რეგიონში და შესაძლებელს გახდის დეოკუპაციისკენ ქმედითი და ეფექტური ნაბიჯების გადადგმას.

- **დაბოლოს, ერთიან ევროპულ სივრცეში ინტეგრაცია ჩვენთვის რამდენად უმჯობესია?**

- უმჯობესი არ არის - საქართველოს ევროპულ სივრცეში ინტეგრაცია ჩვენთვის არის უალტერნატივო და არ არსებობს სხვა რეალობა, რომელშიც ჩვენს ქვეყანას შეუძლია იყოს იმაზე თავისუფალი, ეკონომიკურად და ინსტიტუციურად ძლიერი, ვიდრე ეს ევროპულ ოჯახში ინტეგრაციის შემთხვევაშია შესაძლებელი.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და აღშარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ეოდოვის ქ. №2
ტელ: 27-13-31
აინყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 31/07/23, 21 20 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

საიუბილეო საღამოს ბათუმმა უმასპინძლა

ბიძინა კვერნაძე - 95

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

განუმეორებელი შემოქმედის, გენიალურ კომპოზიტორ ბიძინა კვერნაძის დაბადებიდან 95 წლისთავს მიეძღვნა საღამო, რომელიც ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მისი დაბადების დღეს გაიმართა.

მსმენელის წინაშე წარსდგა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სახელმწიფო ორკესტრი მაესტრო ნიკა ნიკვაშვილის ხელმძღვანელობით, საიუბილეო საღამოც მისივე იდეით განხორციელდა (რეჟისორი - ბაკურ ბაკურაძე).

საღამოში, რომელიც თეატრმცოდნე ნიკა წულუკიძეს, როგორც ყოველთვის, საინტერესოდ და უზადოდ მიჰყავდა (მან არაერთი ფაქტი გაიხსენა კომპოზიტორის ცხოვრებიდან), ესტრადის ლეგენდა ნანი ბრეგვაძე, ეკა მამალაძე, ნატალია ქუთათელაძე, ანსამბლი „შვიდკაცა“, სოფო ხალვაში, კონსტანტინე ყიფიანი, დათო ნოზაძე, ნიკა კირვალიძე მონაწილეობდნენ.

აჟღერდა კომპოზიტორის მიერ კინოსა და თეატრისათვის შექმნილი ნაწარმოებები და არა მხოლოდ, მისი შემოქმედება ხომ მუსიკის ყველა ჟანრს მოიცავს. თუმცა მაინც განსაკუთრებულად უნდა აღვნიშნოთ ბიძინა კვერნაძის კინომუსიკა, რომელიც ძალიან პოპულარულია ხალხში, ამიტომაც საღამოს დიდი ნაწილი მას დაეთმო. ეს ის ჰანგებია, რომელსაც მუდამ გინდა უსმინო და რომელიც ასე მოგვნატრებია. შესრულდა მუსიკა კინოფილმებიდან „დათა თუთაშხია“, „განაჩენი“, „შეხვედრა მთაში“, „უდიპლომო სასიძო“... თითოეული ფილმიდან ნაწყვეტს ეკრანზე უჩვენებდნენ... გაისმა ყველასთვის საყვარელი სიმღერა „ვარდები არ არიან“, დადგა ამაღელვებელი წამები - ნიკოლოზ წულუკიძემ სცენაზე შემოიყვანა ჩვენი უსაყვარლესი მომღერალი, ვისზეც თამამად ვამბობთ, რომ ლეგენდაა - უბერებელი ნანი ბრეგვაძე, რომელსაც ფეხზე წამოუდგა დარბაზი. ეს მსმენელის მიერ იმ დიდი სიყვარულის გამოხატვა იყო, რომელიც მომღერალმა ბრწყინვალე შემოქმედებით დაიმსახურა.

რამდენიმე კომენტარი ჩავიწერეთ.

ნანი ბრეგვაძე:

- ბიძინაზე ძალიან ბევრი რამის თქმა შემიძლია, მაგრამ, რომ იტყვიან, სიტყვები არ მყოფნის. ის, პირველ რიგში, არის დიდი პიროვნება, დიდი ადამიანი, ჩემი უახლოესი მეგობარი. ჩვენ თითქმის ყოველთვის ერთად ვიყავით და შევსებული გახლდით ამ თბილი ურთიერთობით. როგორი კომპოზიტორია? ძალიან დიდი სიღრმე აქვს მის ნაწარმოებებს. მისი ერთი ფრაზაც კი ბევრს, ერთად აღებულს, სჯობია, დიდ სიმფონიურ ნაწარმოებებსაც კი. რასაც ჩაიფიქრებდა და ხელს მოჰკიდებდა, ყველაფერს უმაღლეს დონეზე აკეთებდა. ბიძინა საქართველოს (და არა მხოლოდ) უდიდესი კომპოზიტორია, ჩვენი ერის სიამაყეა. ამასთან, ის იყო არაჩვეულებრივი ადამიანი საოცარი იუმორით. მისი შემოქმედება უკვდავია. ძალიან გვაკლია.

ეკა მამალაძე, მომღერალი:

- ბიძინა კვერნაძის დაბადების დღეს დაამთხვიეს მისი საიუბილეო კონცერტი ბათუმში და უბედნიერესი ვარ, ჩემი ოჯახის წევრებიც რომ მონაწილეობენ. ბატონი ბიძინას მელოდიები ჩვენთვის ყოველთვის იყო ძალიან ახლობელი და გათავისებული. უდიდესია მისი როლი კინომუსიკაში. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ნანისთვისაც. როგორი სიყვარულით ასრულებდა და ასრულებს ის მის „ვარდები არ არიან“, თავად მოისმინეთ.

სოფო ხალვაში, მომღერალი:

- ბიძინა კვერნაძის შემოქმედება ყველას ძალიან გვიყვარს, განსაკუთრებულად - მისი მუსიკა კინოფილმებიდან, რომლებიც დღეს აქ გაცოცხლდა. ყველა კმაყოფილია, მის ფანტასტიკურ შემოქმედებას უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს. მინდა ყველა მონაწილეს დიდი მადლობა გადავუხადო, განსაკუთრებით - ნიკა ნიკვაშვილსა და ბაკურ ბაკურაძეს, რომ ეს ღონისძიება ჩვენთან ჩაატარეს.

გოგი ჭიჭინაძე, მაესტრო:

- არ არსებობს საქართველოში ადამიანი, მისი საკუთარი ბიძინა კვერნაძე რომ არ ჰყავდეს და არ უყვარდეს. გავიდა და კიდევ გავა წლები, მაგრამ ჩვენ დაგვრჩება ეს ბრწყინვალე შემოქმედება, მისი განუმეორებელი ინტონაცია, შორეული, თავისუფალი, ტკივილიანი, იმედის მომცემი, ბიძინასეული. სანამ საქართველო არსებობს, მანამდე იარსებებს ბიძინას მუსიკა.

ბაკურ ბაკურაძე, რეჟისორი:

- დიდი ბედნიერებაა გენიალური კომპოზიტორის საიუბილეო საღამოს რეჟისორობა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ინტერესი დიდი იქნებოდა და არც შევმცდარვარ - ანშლაგი იყო. ეს იმიტომ, რომ ბატონ ბიძინას მუსიკამ გადატრიალება მოახდინა ქართულ კლასიკურ მუსიკაში.

ნიკა ნიკვაშვილი, მუსიკოსი:

- ბატონი ბიძინა ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასი ადამიანია. ის ჩემი პედაგოგი იყო, ვინც გამზარდა. როგორც პიროვნება, გენიალური გახლდათ, როგორც მუსიკოსი - შეუდარებელი. ეს ყველამ იცის. ამიტომაც უყვართ ის გამორჩეულად და ამაში დღესაც კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, დარბაზიდან წამოსულმა ენერგიამ ეს კარგად აჩვენა. ძალიან მიხარია, რომ სწორედ მისი დაბადების დღეს, 29 ივლისს შედგა კონცერტი. შევეცადეთ, გამორჩეული, სიყვარულით სავსე ყოფილიყო ეს საღამო. უღრმესი მადლობა თქვენ, „აჭარას“...

კონსტანტინე ყიფიანი, მომღერალი:

- ყველა მომღერლისთვის საოცნებოა ასეთ საღამოში მონაწილეობა. საქართველოში ძალიან ბევრი შესანიშნავი კომპოზიტორი გვყავს, მაგრამ ბიძინა კვერნაძის ხელწერა მუსიკაში ყველასგან გამორჩეულია, ის ჩემს შინაგან მუსიკალურ სამყაროსთან - სიტყვასთან, შინაარსთან ძალიან ახლოსაა. ვფიქრობ, რომ ის მსოფლიო დონის კომპოზიტორი, გენიოსია.

რობერტ სტურუა, რეჟისორი:

- წელან დარბაზში მასზე ვილაპარაკე, მაგრამ ვთვლი, რომ საერთოდ არ უნდა ამომეღო ხმა, რადგან ასეთ ადამიანებზე საუბარი სიცრუეს ნიშნავს. რა ძალაც ჰქონდა ბიძინას, იმის სიტყვით გადმოცემა შეუძლებელია, ესე იგი, რაღაც უნდა ვიცრუო, გამოვიგონო, ვიღაცის ნათქვამი გავიმეორო... არა, მირჩევნია არაფერი ვთქვა და დარჩეს ჩემთან ისეთი ბიძინა, როგორიც არის.

ნიკა წულუკიძემ მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც გვერდით დაუდგა მათ ამ ღონისძიების ჩატარებაში: ბათუმის მერიას, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტს, ბათუმის სახელმწიფო თეატრს, კიდევ ბევრ დაწესებულებასა და კომპანიას. აღნიშნა, რომ არა ნიკა ნიკვაშვილი, ეს საღამო არ შედგებოდა.